№ 2802
შაბათი,
23 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2802
შაბათი,
23 აპრილი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წინადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ქვრივი გუქიტი ბეჟანის ასული ქორქიასი, ქეთევან ბესლანის ასული ჯავახიასი, ერაჯი ბესლანის ძე ქორქია და საჩინო კონსტანტინეს ძე ჯავახია გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველი ქვრივ-ფასის ქმრისა, მეორენი მამისა და მესამენი—სიმამრის აზნაურის

ბესლან ლ. მაკარის ძის ქორქიასას.

გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 24 აპრილს, 3 საათზე, თავის საკუთარ სახლიდან, რაჭის ქუჩაზე, წმინდა ნიკოლოზის ეკკლესიაზე ქალაქ ფოთში. (2—1)

მარიამ ელიაზარის ასული, ივანე გიორგის ძე, ანდრია ივანეს ძე კვიმსაძეები, თეკლე ივანეს ასული უსხელოვისა, ანტონ ელიაზარის ძე უსხელოვი გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

ილია ივანეს ძის კვიმსარიძისას,

პირველი საყვარელ მეუღლისა, მეორე შვილის, მესამე ძმის და უკანასკნელნი სიძის. პანაშვიდი გარდახდილ იქმნება რკინის გზის პატარა ეკლესიაში, დღეს, საღამოს 7 საათზედ. გამოასვენებენ კვირას, 24 აპრილს ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და დაკრძალავენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. (1—192—1)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი

მ ო ს დ ი ს ყოველ-კვირა

ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის

შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.

ვ უ რ ჩ ე ვ თ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შ ე უ ვ ა ჭ რ ე ბ ლ ა დ. (0—7)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

ხშაბათს, 23 აპრილს, გაიმართება წარმოდგენა ცირკის გამგის გერასიმ მიხეილის ძის მუსურის საბენეფისოდ. სხვათა შორის გაიმართება სამი ჭიდაობა. 1. **კავკასიური ჭიდაობა** ფალავნების **ჯიბგირისა და მეკოკიშვილისა.** გამარჯვებულს ვერცხლის საათი; 2. ცნობილ ფალავნებისა **ვანო თარხანოვისა** და **დავით ოთარიშვილისა** გამარჯვებულს ვერცხლის საათი. 3. ცნობილ ფალავანთა **ალექსი აივაზოვისა** და **არშაკ ნერსესოვისა,** ამას გარდა ორი ჭიდაობა იქნება. გამარჯვებულს ვერცხლის საათი.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. (1—1)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ზ. ი. **ჩიჩინაძე.** კბილის 8—9 საათ.
ბ. ვ. **მალალაშვილი.** შინაგანი ორშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. **ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. **ჟუღინი.**—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
მ. ლ. **დამბაშიძე.**—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ა. მ. **მაჭავარიანი.** შინაგ. და ბავშვ. 12—1.
ლ. ა. **გედევანიშვილი.**—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი მ. ს. **ოხანიანი.**—ქალისა და საზიარო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ა. ნ. **ლიასამიძე.**—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. **ალიხან-ბეგიაშვილი.**—ხირურგია 1—2.

ს ა ღ ა მ ო ს:

ს. ი. **მაჩაძე.**—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

ტელეფონი № 274.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი ხვანიშვილისა № 11.

ე ქ ი მ ი

ვ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 54ც ტელეფონი № 825. (90 296—25).

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მალალაშვილი

იღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის. ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციული ბანკის სახლი. (60—403—58)

კბილის ექიმი

ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—18)

ე ქ ი მ ი

ა. ნ. ლიასამიძე

იღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—60)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ადრესი: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

გადაცვალებულის **ლუარსაბ ბეჟანის ძე იაშვილის** შვილი—სეით ლუარსაბის ძე იაშვილი გულითად მადლობას უცხადებს ყველას, ვინც მის მწუხარებაში მონაწილეობა მიიღო დეპეშით, წერილით თუ პირადათ. (1—6.—1)

სოხუმის ქალაქის

გ ა მ გ ე ო ბ ა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 30 აპრილს და 2 მაისს, დილის 10 საათზე, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება სიტყვიერი და დაბეჭდილ განცხადებებით **საჯარო ვაჭრობა,** მესამე დღეს განმეორებულის ვაჭრობით, როგორც ამას კანონი მოითხოვს. ამ ვაჭრობის დროს გძელის ვადით უნდა გაიცეს 88 დაგეგმილი ნაჭერი ქალაქის ადგილისა, რომელიც ზღვის მახლობლად მდებარეობს, დასავლეთ ნაწილში, ზომით 288-დან 358 ოთხკუთხ საჟენამდე. ადგილის იჯარით აღებს შეუძლიან შემდეგში გამოისყიდოს კიდეც.

პირობები გძელის ვადით და გამოსყიდვის უფლებით ადგილების გაცემისა:

1. მიწის ნაჭრები იძლევა იჯარით 12 წლის ვადით; ამასთან იჯარადარს უფლება აქვს განაახლოს იჯარა 12 წლით კიდევ.

2. იჯარით გასაცემად ინიშნება ვაჭრობა; ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყველას, ვინც შეიტანს ბეს, წლიურ საიჯარო ფასის რაოდენს.

3. იჯარადარს უფლება აქვს იჯარის ვადამდე, როცა მოისურვებს, გამოისყიდოს თავისი ნაწილი იმ თანხის გასტუმრებით, რომელიც უნდა უდრიდეს ერთის წლის საიჯარო გადასახადის კაპიტალიზაციას 4%-დან; მანამდე გადახდილი საიჯარო ფული გამოსასყიდ თანხაში არ ჩაირიცხება.

4. ვაჭრობა იწყება 25 და 20 კაპიკიდან ერთ საჟენ ადგილზე წელიწადში. 25 კაპ. იმ ნაჭრებზეა, რომელიც ათონის მოსესა და ინჟენერნი ქუჩებს შუაა; 20 კაპ. დანარჩენ ადგილებზე.

5. როცა ვაჭრობის დამტკიცების დღიდან ექვსი წელიწადი გავა, საბჭოს უფლება აქვს გაადიდოს საიჯარო ფასი, მაგრამ ისე-კი, რომ პირვანდელ საიჯარო ფასს 50%-ზე მეტით არ აღემატებოდეს, ხოლო 12 წლის შემდეგ—100%-ს აღემატებოდეს.

6. მოიჯარადრე მოვალეა ვაჭრობის დამტკიცებიდან 3 წლის განმავლობაში თავის ადგილზე ააგოს საცხოვრებელი სახლი. ან სავაჭრო სადგომი, არა ნაკლებ 1000 მან. ღირებულობისა; უნდა ააგოს გამგეობის მიერ დამტკიცებულ გეგმაზე. ვისაც ორი ერთად მდებარე ადგილი ექნება აღებული, იმას შეუძლიან ააგოს გამგეობის მიერვე დამტკიცებულ გეგმასა და ფასადზე ერთი შენობა 2000 მანეთის ღირებულობისა. ასევე უნდა მოიქცეს ის, ვისაც უჭირავს რამდენიმე ნაჭერი მიწისა. თუ მოიჯარადრემ სამის წლის განმავლობაში არ ააგო სახლი, იმას ეძლევა ვადა 12 წლის დამთავრებამდე იმ პირობით, რომ უნდა იხადოს ჯარიმა ქალაქის სასარგებლოდ. ეს ჯარიმა უდრის საიჯარო ფასის ერთ მესამედს. თუ შენობები არ იქნა აგებული 12 წლის განმავლობაში, ადგილი უსასყიდლოდ ისევე ქალაქის ხელში გადადის და იმის საკუთრებათ ითვლება, როგორც მიწა, ისე ყველა შენობა და რაც იქ დარგულია.

7. მე-3 §-ში აღნიშნული წესები შეეხება იმ მიწის ნაჭრებსაც, რომელსაც მოიჯარადრენი გამოისყიდიან, ამასთან ჯარიმა იმდენი უნდა იქნას ნაანგარიშევი, რამდენსაც მამულის მემძენი გადაიხდიდა, ის რომ იჯარადარი ყოფილიყო.

8. საიჯარო ფასის გადახდა ხდება: პირველ წელიწადს ხელშეკრულების დადების დროს, შემდეგ წლებში—არა უგვიანეს 10 იანვრისა; ამასთან შეიძლება ვადა გადაიდოს, მხოლოდ იჯარადარმა უნდა იხადოს ჯარიმა 1%-ს თდენა თვეში.

9- ესევე ვადა დაიდება იმ ჯარიმის გადასახდელად, რომელიც შეეწერება შენობის აგებისს დაგვიანებისთვის.

10. ის მოიჯარადრე, რომელიც გადადებულ ვადის უკანასკნელ დღეს არ შეიტანს ფულს (საიჯაროს, ჯარიმას), ჰკარგავს მოიჯარადრის უფლებას და ადგილი უსასყიდლოდ ქალაქის საკუთრებათ გადადის ყველაფრით, რაც კი ზედ იქნება.

იმან, ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, უნდა შეიტანოს ბე იმდენი, რამდენიც აღნიშნულია, ან გაგზავნოს დაბეჭდილ კონვერტით ფასი, ხოლო ცალკე კონვერტით ბე, რომელიც უნდა უდრიდეს წლიურ საიჯარო ფასს. კონვერტზე უნდა ეწეროს: „საჯარო ვაჭრობისთვის, რიცხვი, თვე და წელიწადი საჯარო ვაჭრობისა".

დაბეჭდილი კონვერტები გაიხსნება სიტყვიერ ვაჭრობის გათავების შემდეგ.

ვაჭრობის დამტკიცების შემდეგ მყიდველზე დარჩენილ ადგილს უზომავს ქალაქის გამგეობა სამ კვირაზე არა უგვიანეს და სდებს მასთან პირობის ქაღალდს.

ყოველ გვარ ცნობის მიღება, რაც-კი ადგილების იჯარით გაცემას შეეხება, შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ქალაქი სოხუმი, 9 აპრილი, 1905 წელი.

სოხუმის ქალაქის მოურავი **მ. ტომარა.**
გამგეობის წევრი **ა. მაჭავარიანი.**
(1—6.—1) მდივანი **ნ. ყეგულიანი.**

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
21 აპრილი

პეტერბურგი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა ხელმწიფის სახელზე 1905 წ. 20 აპრილის თარიღით: „18 აპრილს, ყაზახ-რუსთა რაზმმა, პოდესაულ ქელეზნოვის მეთაურობით, უცაბედათ აღმოაჩინა იაპონელების ესკადრონი და იერიში მიიტანა მასზე. აკუწულ იქნენ იაპონელთა ერთი აფიცერი და რამდენიმე ათეული დრაგუნი. დაატყვევეს იაპონელთა 11 უბრალო ჯარის კაცი".

ტოკიო. იუწყებიან, მიკადო და მისი მეუღლე ვერ დაესწრებიან ბრძოლის ველზე დახოცილების პატივსაცემლად გამართულ ცერემონიას, რადგანაც ცოტათი შეუძლოთ არიან. იაპონიის ზღვაში ჯერ კიდევ ხშირი ჯანღია. დანამდვილებით იციან, რომ ბალტიის ესკადრა 19 აპრილს დეიტის პორტთან იყო, ხანკოუს ბუხტის ჩრდილოეთ ნაწილში; ეტყობა, ესკადრა იძულებულია გამოიცვალოს სადგომი ადგილი, რომ საფრანგეთის წყლებში დარჩენით არ დაარღვიოს საფრანგეთის ნეიტრალიტეტი.

ტოკიო, 21 აპრილი. ნაციონალური დღესასწაული, ომის მსხვერპლთა პატივსაცემლად გამართული, 24 აპრილის საღამომდე გასტანს. მიკადოსა და იმპერატრიცის წარმომადგენლებათ დანიშნული არიან პრინცი ფუშიმა და პრინცესა კანინი. დილიდანვე დაიწყო ხალხმა დენა იაპონიის ყოველ კუთხიდან და გაივსო ტოკიო.—პრესსა უნდო თვალით უყურებს საფრანგეთის მთავრობის განცხადებებს ნეიტრალიტეტის შესახებ. გაზეთები ამბობენ, საფრანგეთისაგან განცხადებული ზომიერი საყვედურური საქმეს ვერ უშველისო და ამიტომ ურჩევენ იაპონიის მთავრობას, უფრო დამოუკიდებლად იმოქმედოსო. ისინი ამბობენ, მოიგონეთ, რა ადგილები დაიპყრო ინგლისმა ნაპოლეონთან ომის დროს და როგორ იმუქრებოდა გერმანია 1875 წ., ბელგიას დაიჭეროო.

22 აპრილი.

სინგაპური, 21 აპრილი. ნებოგატოვის ესკადრა შეამჩნიეს მალაკის სრუტეში, ქუგრთან; ის შუაღამისას უნდა მოვიდეს სინგაპურს. ესკადრას შეადგენს 4 ჯავშნოსანი, ორი კრეისერი, 4 მენახშირე და მცურავი გოსპიტალი.

ამოი, 21 აპრილი. ჰფიქრობენ, ბალტიის ესკადრა ძლიერ დაზიანდა ტაიფუნისაგან ჩინეთის სამხრეთ-სანაპიროსთანაო. ამ კვირია ესკადრა რამდენჯერმე შეეცადა აღმოეჩინა იაპონიის ესკადრის მდგომარეობა.

პარიზი, 21 აპრილი. ოსმალეთის მთავრობას იმედი აქვს დაიქიროს რუსის გემები და არაბეთს გაგზავნოს მაშველად.—ორთქლმავალ გემებს „ევა"-ს, „დაგმარა"-სა და „ბურბონ"-ს, რომელთაც დღემდე სურსათი გადაჰქონდათ საიგონიდან ბალტიის ესკადრისათვის, უცაბედათ ბრძანება მოუვიდათ შეაჩერონ სურსათის ზიდვა.

მელბურნი. ოსმალეთიდან მოსული უკანასკნელი ცნობები, საუბედუროთ, ვერ ამშვიდებენ საზოგადოებრივ აზრს.

რომი, 21 აპრილი. ხუთშაბათს შესდგება სხდომა საერთაშორისო კონფერენციისა, რომელსაც მიზნად აქვს, გადასწყვიტოს კრიტოსის საკითხი.

კანეა, 20 აპრილი. „ღელდი-მელდს" შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „კრიტოსის ხალხი, რომლის უწმინდესი გრძნობანი შეურაცხჰყვეს, დიდებულათ მოუწოდებს ლიბერალურ ნაცებისა და ევროპის პრესას და ემუდარება მათ, იშუამდგომლონ მისდა სასარგებლოთ დიდ სახელმწიფოების წინაშე, რათა განხორციელებულ იქმნან მისი კანონიერი პოლიტიკური მისწრაფებანი".

კანეა, 20 აპრილი. გუშინდელ კრებაზე ნაციონალურ კომიტეტის დეპუტატთა მეტმა წილმა გადასწყვიტა, ხელი შეუწყოს აჯანყებულთ საბერძნეთთან შეერთების საქმის განხორციელებაში.

რომი, 21 აპრილი. მფარველმა სახელმწიფოებმა მეფის შვილ გიორგის ნოტა გაუგზავნეს და განუცხადეს, თუ დაუყოვნებლივ სიმშვიდეს არ ჩამოაგდებთ კრიტოსზე, იმ შემთხვევაში, თქვენს თანამდებობას, როგორც კომისარისას, სულ მეტად ჩავთვლითო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".
21 აპრილი

მალაკა, 21 აპრილი. (რეიტ.) რუსის ესკადრა, 4 ჯავშნოსნისა, 1 ჯავშნიან კრეისერისა, 1 კანონერკისა და 5 მენახშირისაგან შემდგარი, სამხრეთით წავიდა.

კელნი, 21 აპრილი. გუნჩულინის კორესპონდენტი „კოლნიშე-ცეიტუნგ"-ისა დეპეშით იუწყება, ხარბინიდან ივნისში უკან გაიწვევენ გერმანიის ლაზარეთს, ვინაიდან მისი იქ შენახვა გასჭირდაო; ამ ამბავმა ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთში.

ვარშავა, 21 აპრილი. დილის გაზეთები არ გამოვლენ. გაფიცულმა მუშებმა დამით გაფანტეს მომუშავენი.

პეტერბურგი, 21 აპრილი. კავკასიის პოლიციის უფროსად ინიშნება სასახლის პოლიციის უფროსი გენ.-მაიორი შირინკინი, რომელიც ნამესტნიკის თანაშემწის უფლებით იქნება აღჭურვილი.

მინსკი, 21 აპრილს. ფეხსაცმელების სახელოსნოების მუშები გაიფიცნენ.

მარიუპოლი, 21 აპრილი. გაიფიცნენ პორტისა და ნახშირის გადმომტვირთავი მუშები. შესდგა ბჭობა ნახშირის მრეწველებისა, რომელმაც საკითხი მაინც ვერ გამოარკვია. მუშაობა ჯერ არ დაუწყიათ.

პარიზი, 21 აპრილი. მეფე ედუარდი, დილის 11 ს. და 10 წ. წავიდა.

ასტრახანი, 21 აპრილი. სოლემონკის უბანში, ვლადიმიროვკაში, დაიწყო მეშების გაფიცვა.

ლიბავა, 21 აპრილი. დღესასწაულებმა, საერთოდ, მშვიდობიანათ ჩაიარეს. გუშინ მუშაობა დაიწყეს ყველა ქარხნებში.

ბერლინი, 21 აპრილი. დაიხურა რენტგენის სახელობის სიეზდი. რეზოლუციაში ნათქვამია, მხოლოდ ექიმებს უნდა მიეცეთ ნება იხელმძღვანელონ რენტგენის სხივებით გამოკვლევის დროს.

პეტერბურგი, 21 აპრილი. გამოცხადდა ომიანობის დროის დებულება ანჟერისა და სუჯენის სანახშირე მადაროებში, ტომსკის გუბერნიაში და ამასთან ციმბირის ოლქის ჯარების სარდალს ნება ეძლევა იხელმძღვანელოს ზემოხსენებულ ადგილებში იმ უფლებით, რა უფლებებითაც არმიის სარდალი სარგებლობს.

* * *

ჟურნალ გაზეთებიდან

ახალი ცნობები რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედებაზე. ისეთი არეული და ერთი მეორის წინააღმდეგი ცნობა მოდის რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედებაზე, რომ ბევრი სამართლიანად ჰფიქრობს, ალბად, რუსები და იაპონელები განგებ ავრცელებენ ამ ცნობებს ერთმანეთის შესაცდენადაო. თუ დეპეშებს დავუჯერებთ, რუსის ფლოტი ისევ ანამის ნაპირას დგას, ზოგიერთი გემი-კი ჩრდილოეთისაკენ წასულა და ხაინანთან ქვა-ნახშირს უდებს. ამ ჟამად სამხრეთ ჩინეთის ზღვაში საშინელი ტაიფუნი მძვინვარებს და ამიტომ ჰფიქრობენ, რუსის ესკადრის გემებს ძლიერ დააზიანებდა ტაიფუნიო. პარიზში-კი ჰფიქრობენ, ადმ. როჟესტვენსკი ტაიფუნის დროს ბუხტებში შეიყვანს თავის გემებსაო. დღემდე არ იციან, კონტრ-ადმ. ნებოგატოვის ესკადრა შეუერთდა ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას, თუ ვერა. ნებოგატოვის ესკადრა 21 აპრილს მალაკის სრუტეში უნახავთ.

იაპონიის ფლოტზე უფრო მცირე ცნობა მოდის. ეტყობა, არც რუსის ადმირალმა იცის ადმ. ტოგოს ბინა, გემებსა ჰგზავნის ამბის გასაგებად, მაგრამ ვერასა ჰხდებაო.

ეს ერთი თვეა ყოველ წამს ბრძოლას ელიან, მაგრამ ბრძოლა დღემდე არ მომხდარა და ვინ იცის, კიდევ როდის მოხდეს. იქმნება რუსის ფლოტს ჩრდილოეთისაკენ წასვლა ტაიფუნმა დაუშალოს; ადმ. ტოგოკი, როგორც სჩანს, სამხრეთისაკენ წასვლას არ აპირობს.

რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედება. „მორნინგ პოსტ"-ის კორესპონდენტი ჰფიქრობს, ეხლა უმეტესად ცრუ ცნობებს ავრცელებენ რუსეთისა და იაპონიის ფლოტის მოძრაობაზე მოპირდაპირის მოსატყუებლადაო. კორესპონდენტი სწერს: ადმ. ტოგოს პლანს დღემდე ვერავინ მიჰხვდა. შეიძლება იაპონელმა ადმირალმა არც კი დაუშალოს შეერთება ადმ. როჟესტვენსკისა და ადმ. ნებოგატოვის ესკადრებს. რამდენისამე სამხედრო გემის მომატება ვერ გაუადვილებს რუსის ესკადრას მოქმედებას და სიარულს. სანახშირე და სატრანსპორტო გემების მომატებაც დიდ გავლენას არ იქონიებს საქმის ვითარებაზე, რადგან ეს გემები უამისოდაც ძლიერ აბრკოლებენ და საქმეს უჭირვებენ რუსის ესკადრას. იაპონიის ნაღმიანი გემები ადვილად აურ-დაურევენ ამ გემებს; ეს ხომ ბევრმა სამხედრო მიმომხილველმა ადრევე შენიშნა. ამბობენ, ვითომ რუსის ადმირალი სამხრეთისაკენ წავიდა მესამე ესკადრის დასახვედრადაო, მაგრამ, ჩემის აზრით, ადმ. როჟესტვენსკი სადმე კუნძულ ხაინანს ახლო იდგება. ტოკიოდან იუწყებიან, რუსის გემები ხაინანს ახლო უდებენ ქვა-ნახშირსაო. თუ ეს ცნობა მართალია, ჩინელებს ორნაირი საქმე უდევთ წინა: რუსის იარაღაყრილ გემებს „ასკოლდ"-სა, „მანჯურ"-სა და „გროზოვოი"-ს უდარაჯონ შანხაიში და თვალ-ყური ადევნონ, რომ რუსები ხაინანში არ დადგნენ დიდხანს. ვნახოთ, როგორ შეასრულებს ამ საქმეს ჩინეთიო. („რ").

რუსისა და იაპონიის ფლოტი. „ნ. ფრ. პრესე" კონტრ-ადმ. ნებოგატოვის ესკადრას აწერს და იკვლევს, რამდენად გააძლიერებს ამ ესკადრის შეერთება ადმ. როჟესტვენსკის ფლოტსაო. გაზეთი სწერს:

კონტრ-ადმირალ ნებოგატოვს ერთი ძველი საესკადრო ჯავშნიანი გემი „ნიკოლოზ I" ჰყავს, 3 ძველი სანაპირო ჯავშნიანი გემი: „ადმირალ აპრაქსინი", „ადმირალ სინიავინი" და „ადმ. უშაკოვი" და კრეისერი „ვლადიმირ მონამახი". ამას გარდა, ესკადრას რამდენიმე სატრანსპორტო, სანახშირე და საავადმყოფო გემი „კოსტრომა" ჰყავს. „ნიკოლოზ I" თანამედროვე მეორე რანგის ჯავშნიან გემს უდრის, დანარჩენი სამი სანაპირო ჯავშნიანი გემი-კი ძლიერ კანონიერ გემებს უფრო ჰგვანან ნებოგატოვის ესკადრა შედარებით ნელა დადის და სულ 19 მძიმე, 20 საშუალო და 38 მსუბუქი ზარბაზანი აქვს; ასეთ არტილერიის მომატება შესამჩნევად გააძლიერებს ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას, თუმცა ხსენებული ზარბაზნები მეორე და მესამე რანგის გემებზე აწყვია. ნებოგატოვის ესკადრის შეერთების შემდეგ ადმ. როჟესტვენსკის ეყოლება 11 ჯავშნიანი გემი და 9 დიდი და პატარა კრეისერი; ადმ. ტოგოს ჰყავს 4 ჯავშნიანი გემი პირველ რანგისა, ერთი ჯავშნიანი გემი მეორე რანგისა და 8 კარგი ძლიერი ჯავშნიანი კრეისერი, ნაღმიანი გემები ხომ იაპონელებს გაცილებით მეტი ჰყავთ რუსებ-

ზე. ნაღმიან გემებს გარდა რუსებს 20 მებრძოლი გემი ჰყავთ, იაპონელებს 13. რასაკვირველია, გემების რიცხვს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. რუსის ადმირალმა ძალა-უნებურად ორად უნდა გაჰყოს თავისი ესკადრა, რადგან რუსის კრეისერები და ჯავშნიანი გემები ზოგი ნელა დადის, ზოგი უფრო სწრაფად. რუსის კრეისერები დიდ დახმარებას ვერ გაუწევენ ჯავშნიან გემებს, როდესაც იაპონიას 8 ისეთი ძლიერი ჯავშნიანი კრეისერი ჰყავს, რომ თითქმის ჯავშნიან გემებს არ დაუვარდებიან. ამნაირი კრეისერი ადმ. როჟესტვენსკის მხოლოდ 3 ჰყავს. ასე რომ რუსის ესკადრას ნამდვილად მხოლოდ 14 მებრძოლი გემი ჰყავს (11 ჯავშნიანი გემი, 3 კრეისერი) და ახლო მანძილზე ბრძოლის დროს მხოლოდ ეს გემები გამოდგებიან. შარშანდელმა წელიწადმა დაგვანახვა, რომ უჯავშნო სუსტ გემებს არ შეუძლიანთ ჯავშნიან გემებთან ბრძოლა და ნამდვილი გადამწყვეტი ბრძოლა-კი მხოლოდ ახლო მანძილზე ყოფილა შესაძლებელი. თუ ბრძოლა მოხდა, უნდა ველოდოთ, რომ ერთი მხარე უსათუოდ საბოლოოდ დამარცხდება. ადმ. ტოგო გონივრულად იქცევა, რომ იაპონიის ახლო დგას, თავის ბაზას არა ჰშორდება და სამხრეთისაკენ არ მიდის; სულ ერთია, რუსის ფლოტი ვლადივასტოკისაკენ წავა და იაპონიის ზღვაზე გაივლის. („რ.“).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ადმ. ტოგომ 5 ჯავშნიანი გემი ჰყავს პირველ რანგისა და არა 4. ზოგს ჯავშნიანი გემი „იაშიმა“ დაღუპულად მიაჩნია, მაგრამ ინგლისელი კორესპონდენტები ირწმუნებიან, „იაშიმა“-ს დაღუპვის ამბავი ტყუილი გამოდგაო.

რუსის ესკადრის ყოფნა მადაგასკართან. ფრანგულ გაზეთ „დეპეშ დე ტულუზ“-ი იუწყება: როცა რუსის ესკადრა მადაგასკართან იდგა, რუსის მეზღვაურებს ძლიერ აწუხებდა სხვა-და-სხვა სენიო. საქმე ისე წავიდა, რომ რუსებმა ზღვის ნაპირად დროებითი საავადმყოფო გამართეს. ყველაზე მეტად სიცხე აწუხებდათ რუსებს. მუკდენთან დამარცხების ამბავმა ძლიერ აღელა რუსის მატროსები, დისციპლინა თითქმის სულ შეირყა. ადმ. როჟესტვენსკი იძულებული იყო, დისციპლინის აღსადგენად მეტად სასტიკი ღონისძიება მიეღო. („ნ.“).

რუსის მეზღვაურები ცინდაოში. გერმანულ გაზ. „ინსტრ. ნახრიხტენ“-ში ცნობებია დაბეჭდილი ცინდაოში მყოფ რუსის მეზღვაურებზე. 28 ივლისს ბრძოლის შემდეგ რუსის ჯავშნიანი გემი „ცესარევიჩი“ გერმანიის სამფლობელო „ცინდაო“-ში მივიდა და იქ იარაღი აიყარა. მერე იქვე რამდენიმე ნაღმიანი გემიც მივიდა პორტ-არტურიდან. წერილის ავტორი სწერს: ცინდაოში 1000-მდე რუსის მატროსი ცხოვრობს; რუსები მეტად ცუდად იქცევიან, ქუჩებში მთვრალები დადიან და ისე საძაგლად უჭირავთ თავი, რომ ჩინელებში სულ გაუტეხეს ევროპიელებს სახელი. გერმანელთა პოლიციის საპყრობილე მუდამ გაჭედილია დასჯილ რუს მატროსებით. ვერაფრით ვერ მოიყვანეს ჭკუაზედ მატროსები, რადგან რუსის მატროსი მეტად მცირედაა განვითარებული; ბოლოს დროს წესად დადეს, რომ ხმელეთზე 90-ზე მეტი რუსი აღარ გაუშვან ხოლმე ერთად. რუსის მატროსები სიფხიზლის დროს მეტად გულკეთილი ხალხია, მაგრამ დამთვრალი-კი პირუტყვად გადიქცევიან ხოლმე და მეტად საძაგლად იქცევიან. ამისი ბრალი იმას ედება, ვინც ამ სიბრალულის ღირს ხალხს უვიცობაში სტოვებსო. („ნ.“).

სამხედრო მოქმედება ხმელეთზე. ხმელეთზე საყურადღებო ამბავი არა მომხდარა-რა; ვინ იცის, იქნება, ბევრი რამაც რამაც ხდება საყურადღებო, მაგრამ როგორც წინად, ეხლაც მეტად მცირე ცნობა მოდის სამხედრო მოქმედების ასპარეზიდან. რუსისა და იაპონიის ჯარი დღემდე, ეტყობა, მზადებას განაგრძობენ მომავალ ბრძოლისათვის.

„რუს“-ს 15 აპრილის თარიღით დეპეშით ატყობინებენ გუნჩულინიდან: „ყველა მხრიდან ცნობა მოდის, რომ იაპონელებს დიდი ჯარი გაუგზავნიათ მონგოლიაში. ამ დღეებში რუსის მხედრივი რაზმი მონგოლიის საზღვარს ახლო ხუნხუზების დიდ რაზმს შეჰხვდა. ჩინელები ამბობენ, საზღვრის პირად რამდენსამე ადგილას 5 ათასი იაპონელი კავალერისტი დგასო. იაპონელები ბეჯითად იქცევიან რუსის მარცხენა ფრთის პირდაპირ“.

ავტონომია და მშრომელ ხალხის ინტერესი

ჩვენის ქვეყნის ავტონომიურ თვითმმართველობას, როგორც მკითხველს უეჭველია ეცოდინება, ძვირის თვალით უცქერის სხვათა შორის ის მიმართულება აზრისა, რომლის წარმომადგენელნიც ცნობილ არიან მესამე დასელების სახელით. ავტონომია საზარალოა მშრომელ ხალხის, ან, უკეთ რომ ვთქვათ, პროლეტარიატისთვის, რადგან იგი კედლის ამართვას აღნიშნავს ჩვენის ერისა და სხვა ერთა შორის, მაშასადამე, შეაფერხებს მთელის ქვეყნის პროლეტარიატის შეერთკავშირებას და გააძნელებს მშრომელ ხალხის იდეალის განხორციელებასო—ამ გვარად ასაბუთებენ შრომის ინტერესების სახელით დასელები თავის აზრს. ჩვენ გვგონი, რომ ეს ცალმხრივი და ცალხაზიანი არგუმენტაცია ყალბ ნიადაგზეა აშენებული, რადგან ყველა ქვეყნის მშრომელ ხალხის გაერთკავშირება ის ერთად ერთი ინტერესი არ არის, რომელსაც ადამიანმა ყოველივე სხვა ინტერესი, სხვათა შორის, ინტერესი ეროვნულ ნიადაგზე განვითარებისა, აუცილებლად მსხვერპლად უნდა შესწიროს და ანაცვალოს, მაგრამ დასელების აზრის დასარღვევად ამ საგნის შესახებ სრულებით საჭირო არ არის ამ მხრივ ჩავუდგეთ კრიჭაში მათს არგუმენტაციას. ჩვენ შეგვიძლიან დავეთანხმოთ მათ, რომ პროლეტარიატის შეერთება არაფრის გულისთვის არ უნდა იქმნას გაძნელებული და მაინც თამამად აღვიაროთ, რომ ავტონომია არაფრით არ ეწინააღმდეგება პროლეტარიატის ინტერესს.

ჩვენს მოწინააღმდეგეებს აქსიომატურ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ, ვითომც ავტონომია პროლეტარიატის გაერთებას შეუძლებლად ჰხდიდეს ან აძნელებდეს; ამ შეხედულების დასამტკიცებლად ისინი არც თეორიულ საბუთებს, არც ფაქტებს არ იძლევიან... ეს, როგორც მოგეხსენებათ, ჩვეულებრივი ნიშანია ბრმა მისტიციზმისა, რომელსაც ადვილად მიჰყავს ადამიანი იმ სოლცარ მდგომარეობამდე, რომ მზად არის დაიძახოს: credo, quia absurdum. დასელების რწმენის უნიადაგობა განსაკუთრებითის ძლიერებით სჩანს იმ ქვეყნის მაგალითიდან, რომელსაც შეიძლება სოციალ-დემოკრატიის კლასსიკური სამშობლო ვუწოდოთ. მკითხველი მიჰხვდებოდა, რომ სახეში ჩვენ გერმანია გვაქვს. სოციალ-დემოკრატიამ საუკეთესო ნიადაგი განვითარებისთვის გერმანიაში იპოვა, არსად მუშათა პარტია ისეთის ორთოდოქსალობით არ მისდევს მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას, როგორც გერმანიაში; თვით რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მიმართულება გერმანიიდან გადმოინერგა და დღემდე გერმანიის სოციალ-დემოკრატია გზის მაჩვენებელი და სამაგალითო პარტიაა. გერმანიაში ეს პარტია დაარსდა ლიბკნეხტის და ბებელის მეთაურობით, 1868 წელს იგი შეუერთდა „ინტერნაციონალურ კავშირს“ და 1869 წელს მიიღო ოფიციალური სახელწოდება „მუშათა სოციალ დემოკრატიულ პარტიისა“. 1873 წლის შემდეგ ამ პარტიას ბევრი თანამოაზრე აღმოუჩნდა გერმანიის სხვა და სხვა ნაწილ'ში: საქსონიას, ტიურინგიას, გოლშტინიასა და ბერლინში; 1875 წელს მთელის გერმანიის სოციალ-დემოკრატები შეკავშირდნენ ერთს პარტიად, გაიჩინეს ცენტრალური მმართველობა, დაიარსეს საერთო კასსა, ბეჭდვითი ორგანო და დაიწესეს ყოველწლიური პარტიული კონგრესები. გერმანიის მთავრობა სასტიკად სდევნიდა ამ პარტიას, მაგრამ იმისი ზრდა მაინც ვერ შეაჩერა, 1874 წლის არჩევნებზე პარტიამ 340,000 ხმა მიიღო, 1890 წელს 1.427.000, და ამ ჟამად სოციალ-დემოკრატია გერმანიის რეიხსტაგში ერთი უძლიერესთაგანი პარტიაა.

გერმანია ერთს მთლიანს, ცენტრალისტურს სახელმწიფოს არ წარმოადგენს, იგი შესდგება ოცზე მეტ სხვა-და-სხვა სახელმწიფოსაგან, რომლებიც შეერთებულ არიან ერთს საიმპერიო სახელმწიფოებრივ კავშირად ანუ კონფედერაციად, რათა საერთო ძალით დაიცვან ფედერაციის ტერრიტორია, მომქმედ კანონების ძალა და უზრუნველჰყონ გერმანიის ხალხის კეთილდღეობა. გერმანიის ეხლანდელ კონსტიტუციის შესავალი ამ სახელმწიფოს კონფედერაციად სთვლის და დასასრულ ამბობს: „ეს კონფედერაცია იწოდება გერმანიის იმპერიად და იმისი მმართველობა იმოქმედებს შემდეგის კონსტიტუციითო“. გერმანიის საიმპერიო კონსტიტუცია მრავალმხრივ საინტერესოა იურიდიულ აზროვნებისთვის, რადგან იურიდიული ბუნება ამ იმპერიისა ვერც შეკავშირებულ სახელმწიფოს (Bundesstaat) და ვერც სახელმწიფოთა კავშირის (Staatenbund) ჩვეულებრივ წარმოდგენას ვერ აკმაყოფილებს: ერთის მხრივ გერმანიის იმპერია ცენტრალისტურ სახელმწიფოს მოგვაგონებს, მაგრამ იმავე დროს ბევრში სახელმწიფოთა კავშირს უახლოვდება. აქ ამ საგანს ჩვენთვის მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენთვის სრულიად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ გერმანიის იმპერიის შემადგენელს სახელმწიფოებს მთლად არა აქვთ დაკარგული უფლება საკანონმდებლო მოქმედებისა და, მაშასადამე ეხლაც ისევ ავტონომიურ სახელმწიფოებრივს ერთეულებს წარმოადგენენ. გერმანიის იმპერიის ტერრიტორიაზე ზემოდ დასახელებულ საიმპერიო კონსტიტუციის გარდა კიდევ 24 სხვა კონსტიტუცია მოქმედობს: პრუსიის, ბავარიის, საქსონიის, ვიურტემბერგისა და სხვებისა. ყოველს სახელმწიფოს თავისი საკუთარი საკანონმდებლო დაწესებულება აქვს, საკუთარი მმართველობა, საკუთარი ფინანსები, საკუთარი ადმინისტრაცია, სკოლები და სხვა. თავადი ბისმარკი, რომელსაც გერმანიის გაერთიანებას და საიმპერიო კონსტიტუციის შექმნას აწერენ, ამბობ დამფუძნებელ რეიხსტაგში 1867 წელს: „უნდა გამოვძებნოთ მინიმუმი უფლებებისა, რომელნიც კერძო ორგანიზმებმა უნდა დაუთმონ საზოგადოებრიობას, რათა ამ საზოგადოებრივს ერთეულს მიეცეს სა ცხოვრებისა“. აქედანაც ცხადად სჩანს, რომ გერმანიის იმპერია, როგორც გაერთიანებული სახელმწიფო, საკმაოდ დიდს და ფართო ასპარეზს დაუტოვებდა იმპერიის შემადგენელ სახელმწიფოების თვითმოქმედებას ე. ი. მათს ავტონომიურ მოქმედებას. საიმპერიო კონსტიტუციის მეორე მუხლი განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის იმ მხრივ, რომ აქ ცხადად სჩანს, რამდენად უსაფუძვლოა ის აზრი, ვითომც ავტონომია ეროვნულ კარჩაკეტილობას მოასწავებდეს. „მთელის ფედერატიულ ტერრიტორიისთვის არსებობს საერთო ინდიგენატი (ТУЗЕМСТВО, სამშობლო). მნიშვნელობა ამ ინდიგენატისა გამოისატება იმით, რომ ყველას, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სახელმწიფოს ქვეშევრდომი და მოქალაქეა იგი, უფლება აქვს კონფედერაციის ყოველს სახელმწიფოში იცხოვროს ისე, როგორც თვით ამ სახელმწიფოს მკვიდრმა, ე. ი. გაიჩინოს იქ სახლ-კარი, იშრომოს თავის პროფესიის ფარგლში, შევიდეს მოხელედ, შეიძინოს უძრავი ქონება და სხვა... ამ სხვა-და-სხვა უფლებათა შეზღუდვა არ შეუძლიან არც ერთს საფედერაციო სახელმწიფოს, არც იმას, რომელსაც ეკუთვნის ქვეშევრდომი და არც სხვას“. საიმპერიო კონსტიტუციის მე-35-ე მუხლის ძალით საბაჟოს საქმეები მხოლოდ ფედერატიულ მთავრობის განკარგულებაში იმყოფება და კერძო სახელმწიფოს არ შეუძლიან თავისი საკუთარი ტერრიტორია განმაცალკევებელ საბაჟოს ჩარჩოებით განაცალკევოს იმპერიის სხვა ნაწილებისაგან. ერთის სიტყვით, ავტონომიურ სახელმწიფოს გერმანიის იმპერიაში არავითარი ხელოვნური ერთი ერისს მეორისაგან განმაცალკევებელი კანონი და საადმინისტრაციო ზომა არ შეუძლიან მიიღოს, პირიქით, საიმპერიო კონსტიტუცია სცდილობს, რაც შეიძლება მეტად გააერთიანოს სხვა-და-სხვა სახელმწიფოების მოქალაქენი, მაგრამ იმდენად კი, რამდენადაც ამას საერთო ინტერესი მოითხოვს და არა გერმანიის ერთ-ერთ სახელმწიფოს მცხოვრებთა გაბატონება მეორეზედ.

ჩვენის ახლანდელის მიზნისათვის სრულიად საკმარისია ეს ორიოდე სიტყვაც გერმანიის შესახებ. გერმანიაში, როგორც მკითხველმა დაინახა, პროლეტარიატის შეერთებას სხვადასხვა სახელმწიფოების ავტონომიურმა თვით-მმართველობამ სრულიად ხელი არ შეუშალა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ავტონომია კარ-ჩაკეტილობას კი არა, ადგილობრივ ინტერესების დაკმაყოფილებას აღნიშნავს ადგილობრივ მკვიდრთა თვით-მოქმედების საშუალებით. მაშ

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.
ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.
როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.
ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.

ფელეტონი

ჟანჟაკ რუსსო და მონტესკიე სახელმწიფოს შესახებ

რუსსოს აზრით, ხალხთა შორის ორი დამოკიდებულობა არსებობს: ბუნებრივი და ხელოვნური, შექმნილი. პირველი სრულიად არ ამცირებს კაცის ბუნებასა და თავისუფლებას, რადგან ბუნების კანონი ყველასათვის თანასწორი და სამართლიანია. მეორე კი, როგორც შემთხვევით ნებაზე დამყარებული, ადამიანის ბუნებას არა თუ ამცირებს, ასახიჩრებს და ამახინჯებს კიდეც. ამ უკანასკნელ აზრის დასაბუთება ძნელი არ არის, თუ მხედველობაში თანამედროვე სახელმწიფოებს მივიღებთო, ამბობს რუსსო. დღევანდელ სახელმწიფოთა წესსა და წყობილებას ძალიან ბევრი ნაკლი აქვს, რომელთა ასაცდენად საჭიროა ისეთი წესი გამოცხადდეს, რომ ადამიანი კერძო პირის ნებისა და სურვილისაგან კი არა, ბუნების კანონებსავით ყველასათვის თანასწორ და მათსავით შეურყეველ და შეუდრეკელ კანონებისაგან იყვეს დამოკიდებული. მერე როგორ უნდა მოეწყოს სახელმწიფო მმართველობის საქმე ისე, რომ ამ მმართველობაში კერძო პირების სურვილისა და ნების მაგიერ, ყველასათვის თანასწორ და შეუდრეკელ კანონსა ჰქონდეს ძალა? ამისთვის საჭიროა, რომ ეს კანონები ზოგიერთების შექმნილი და ნაბრძანები არ იყვეს. სახელმწიფოში გაბატონებული კანონი ხალხის სურვილისა და ნების გამომხატველი უნდა იყვეს და არა რომელიმე პირის, ან პარტიისა.

ადამიანნი, სახელმწიფოს დაარსებას როცა შეუდგებიან (ამ შემთხვევაში რუსსოც ბევრ თავის წინაპრებსავით სახელმწიფოს დაარსებას ხელშეკრულობითა ხსნის) ვალდებულნი არიან ბუნებით მინიჭებულ უფლებებზე უარი სთქვან და ეს უფლებები ხალხს გადასცენ, რომლის სურვილი ყველასათვის სავალდებულო კანონი უნდა შეიქნეს. მართალია, ყოველი წევრი სახელმწიფოს დაარსების დროს სუბიექტიურ უფლებებზე უარს ამბობს, მაგრამ იმათ ნაცვლად, სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობის უფლება ეძლევა. ამგვარად, რუსსოსებურ სახელმწიფოში ყოველი წევრი ბრძანებელიც არის და ქვეშევრდომიც. სახელმწიფოს სუვერენიტეტს ხელმწიფების ქვეშევრდომთა საერთო სურვილი უნდა შეადგენდეს.

სუვერენიტეტის ერთი ხელიდან მეორეში გადაცემა არ შეიძლება, რადგან საერთო სურვილი გადავა თუ არა კერძო პირთა ან პარტიის ხელში, ზოგიერთების სურვილით შეიცვლება და კანონის მაგიერ ხელში ზოგიერთების ულაგამო ძალა და, მაშასადამე, უსამართლობა შეგვრჩება.

სუვერენიტეტი ერთია, როგორც ღმერთი. როგორც კერძო პირის სურვილი, აგრეთვე მთლად სახელმწიფოსი, რასაკვირველია, ერთი უნდა იყვეს, თუმცა ეს სურვილი სხვა-და-სხვა შემთხვევებში სხვა-და-სხვანაირად გამოიჩენს ხოლმე თავს. ამ სხვა-და-სხვაობას კანონისა და კერძო შემთხვევების დაპირდაპირება ჰქმნის მხოლოდ.

რადგან ყოველ სახელმწიფოში სუვერენიტეტი, ხელმწიფება ერთია, რასაკვირველია, შეუზღუდავიც უნდა იყვეს, რადგან შემზღუდავი ძალა სხვა აღარ მოიპოვება სახელმწიფოში. ხელმწიფების შეუზღუდველობა მოქალაქეთა თავისუფლებას არა თუ არ სზღუდავს, პირიქით, კანონიერობის და თავისუფლების თავდებიც კი ხდება, რადგან თვითმპყრობელი, აბსოლიუტური კანონი ერთი პარტიის ან პირის ბატონობას არ აიტანს და თუ ეს არ მოხდა, მოქალაქის კერძო ცხოვრების სფერა დაურღვეველი და შეუბღალავი დარჩება.

ამგვარად გაბატონებულ კანონს საზოგადო ხასიათი აქვს და კერძო პირებთან და შემთხვევებთან დაპირდაპირებას მოითხოვს. ესე იგი, გახელმწიფებულ კანონის გარდა, საჭიროა აღმასრულებელი ძალა, რომელიც კერძო შემთხვევებში კანონს სისრულეში მოიყვანს ხოლმე. აღმასრულებელი ძალა ხალხს არ უნდა ეკუთვნოდეს, რადგან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალა რომ შეერთდეს, კანონის ნაცვლად ხალხი მაშინ კერძო ბრძანებებს (განკარგულებებს) გამოსცემდა მხოლოდ. ამგვარ სახელმწიფოში ხომ კანონის ნაცვლად ხელმწიფებას ზოგიერთნი ჩაიგდებდნენ ხელში. ამ შემთხვევაში აღმსრულებლის ყოველი სურვილი და აზრი კანონად გადიქცეოდა და სუვერენის ულაგამობას საზღვარი აღარ ექნებოდა.

აღმსრულებელი ძალა, ანუ მმართველობა სახელმწიფოში კანონის ნებაყოფლობით და სურვილით არის წარმოშობილი და ამიტომ კანონს მთავრობის დაფუძნებასთან ერთად მისი წარხოცის უფლებაცა აქვს.

საკანონმდებლო ძალა გულია სახელმწიფოსი და აღმასრულებელი ძალა კი ტვინი. ადამიანი ხშირად გონებას ჰკარგავს, მაგრამ სიცოცხლე კი არ ესპობა, მაგრამ თუ გულმა შეაჩერა თავის ფუნქცია, სიკვდილი მაშინ ერთი წუთითაც აღარ დაიგვიანებს ხოლმე. აგრეთვე სახელმწიფოც: მისი არსებობისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს საერთო სურვილის—საკანონმდებლო ძალის მუდმივი მოქმედება. მაგრამ სავსე ცხოვრებით მხოლოდ მაშინ ცხოვრობს სახელმწიფო, როცა ყოველი მისი ნაბიჯი და დაწყება კანონზეა დამყარებული და კანონი კიდევ ხალხის საჭიროების ნამდვილი გამომხატველია.

თავის სურვილების გამოსახატავად და გამოსაცხადებლად ხალხს მუდამ უნდა ჰქონდეს ხმა. ამიტომ საკმარისი როდია, რომ ხალხმა ერთხელ შეჰქმნას რომელიმე კანონი და მერე გულხელდაკრეფილი მსხდეს. საჭიროა დროგამოშვებით, წინდაწინვე დანიშნულ ვადაზედ, შეიკრიბებოდეს ხოლმე და სახელმწიფო საქმეებს განიხილავდეს. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ მხოლოდ ამ გვარ კრებაზედ აქვს ხალხს ხელმწიფება. სხვა ყოველ გვარ კრებებს ხელმწიფების ძალა არ ეძლევა. ხალხს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ძალა, თუ კანონიერად მოქმედებს და თუ სუვერენს, კანონს გადუხვევს, ყოველი მისი კრება უბრალო ურილობა იქნება და არა საკანონმდებლო ძალა. ის კრებები, რომლებზედაც ხალხი თავის ხელმწიფებას იჩენს, სახელმწიფოს ყველა წევრისაგან უნდა შესდგებოდეს; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება კრების სურვილს საერთო სურვილი უწოდოთ.

ხალხის წარმომადგენელნი ხალხის სურვილს მთლად ვერ გამოხატავენ. ამ ორ სურვილის შორის ყოველთვის იქნება ესა თუ ის განსხვავება. საკანონმდებლო ძალა თითონ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა კანონის შემუშავება მას არ უნდა ეკითხებოდეს. ეს უკანასკნელი ხალხის მიერ არჩეულ, გამოცდილ და ბრძენ პირებს უნდა დავავალოთ. ცოდნა ყველას არა აქვს და როგორც კერძო პირებს ესაჭიროებათ ხოლმე რჩევა, დარიგება, აგრეთვე მთლად ხალხსაც. უკანასკნელი სიტყვა კი იმის შესახებ—ახალი კანონი მართლა შეთანხმებულია საერთო საჭიროებათა და ინტერესებთან თუ არა, მაინც ხალხს ეკუთვნის.

იმის მისაღწევად, რომ სახელმწიფოში მართლა კანონი ხელმწიფებდეს და არა ზოგიერთნი, საკმარისი არ არის, რომ ეგ კანონი საერთო სურვილის გამომხატველი იყვეს. საჭიროა კიდევ ისეთი ძალა, რომელიც ყოველ კერძო შემთხვევაში ამ კანონს სისრულეში მოიყვანდეს. აღმსრულებელი ძალა მხოლოდ მაშინ მიაღწევს თავის დანიშნულებას, როცა 1) მას საკმარისი ძალა ექნება მინიჭებული ყოველი წინააღმდეგობის ასალაგმავად და 2) თუ ამ ძალით კანონის ბატონობისთვის ისარგებლებს და არა ზოგიერთა პირის ან პარტიის სახეიროთ. სხვანაირად: მთავრობა იმდენად ძლიერი უნდა იყვეს, რომ კანონის სისრულეში მოყვანა შესწევდეს და მეორეს მხრივ, არც იმდენად ძლიერი უნდა იყვეს, რომ კანონის გადაბიჯება შეეძლოს.

რაც უფრო მეტი შრომა, ცოდნა და გამოცდილება უდევს კანონს საფუძვლად, მით უფრო კარგი და გამოსადეგი იქნება ასეთი კანონი. ამიტომ რაც მეტი ხალხი მიიღებს საკანონმდებლო დებულების შემუშავებაში მონაწილეობას, მით უფრო კარგი იქნება სახელმწიფოსთვის. მთავრობა კი ნაკლები პირისაგან უნდა შესდგებოდეს, რადგან ამ შემთხვევაში უფრო ადვილად მოიყვანს კანონს სისრულეში. იმისთვის კი, რომ მთავრობამ სავსებით არ ჩაიგდოს სახელმწიფოს გამგებლობა ხელში, საჭიროა, რომ: 1) მთავრობა ხალხის მიერ იყვეს არჩეული, 2) მოკლე ვადით და 3) ყოველ მის ნაბიჯს და მოქმედებას ხალხი თვალყურს ადევნებდეს.

რუსსომ პოლიტიკური თავისუფლების დროშა ამართა მაღლა და გადაჭრით გამოაცხადა—ეს თავისუფლება უსათუოდ ყველას ხვედრი უნდა იყვესო. იმას მხოლოდ ის სახელმწიფო სწამს, რომელშიც ხალხი ხელმწიფობს. სახელმწიფოს თავისუფლებას რუსსო მზად არის კერძო პირთა თავისუფლებაც შესწიროს, რადგან საერთო სურვილი, მისის აზრით, ყველასათვის თანასწორი, გონიერი და სამართლიანი იქნება ყოველთვის. ჟენევის რესპუბლიკის მოქალაქე და შვილი, რუსსო იტალიის ძველებურ წვრილ სახელმწიფოებს ეტრფის და თანამედროვე მსხვილ სახელმწიფოებისა არა სწამს რა.

მონტესკიე სულ სხვანაირად იყურებს ამ საგანს. როგორც მონარხიულ საფრანგეთის შვილს მონტესკიეს მხოლოდ მსხვილ სახელმწიფოთა მომავლის იმედი აქვს. თავის პოლიტიკურ იდეალს მონტესკიე იტალიის ძველ ქალაქთა რესპუბლიკებში არ ეძებს. ამ იდეალს ის ინგლისში ჰხედავს, რომელმაც თავისუფლად მოათავსა მსხვილი სახელმწიფოს პირობები და სამოქალაქო თავისუფლების მოთხოვნილებანი.

მონტესკიეც რუსსოსავით ზოგიერთების უსაზღვრო ბატონობას და ხელმწიფებას ებრძვის, მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ ამ ბრძოლას ინდივიდუალურ თავისუფლებისთვის აწყობს და ყოველ წუთს პიროვნებას ემსახურება. მონტესკიე მზათ არის ყოველ მმართველობას შეურიგდეს, ოღონდ მან მოქალაქეთა პიროვნება დაიცვას და ყოველ ძალმომრეობის ალაგმვა მოახერხოს.

რუსსო ერთი ადამიანის უსაზღვრო ბატონობას ჰხედავდა, ჰხედავდა ამ ბატონობით წარმოშობილ უსამართლობასა და ბოროტებას და ეგონა, ყველა ეს ბოროტება თავის-თავად გაქრება, თუ უსაზღვრო ბატონობა და ძალა ერთი კაცის ხელიდან საზოგადოების, ხალხის ხელში გადავაო. იმის მაგიერ, რომ ითონ უსაზღვრო ბატონობას შეჰბრძოლებოდა და ეს ბატონობა დაესუსტებინა, რუსსო ამ ძალის სხვის ხელში გადაცემას ეტრფოდა. მისმა მიმდევრებმა რევოლიუციონერებმა მართლა უსაზღვრო მეფობა გადასცეს ხალხსა, ხალხის ხელიდან ძალა უმეტესობის ხელში გადავიდა, უმეტესობამ თავის მოთავეებს გადასცა და ბოლოს ხომ ისევ ერთ კაცს ჩაუვარდა ეს ძალა ხელში. მონტესკიეს აზრით კი ბოროტება უსაზღვრო ბატონობაში იფარება. იმის აზრით ყოველი სახელმწიფო იმის უნდა სცდილობდეს, რომ ვინც უნდა იყვეს მისი სუვერენი—ხალხი თუ რომელიმე ჯგუფი მოქალაქეებზედ ბატონობის უფლება არა ჰქონდეს.

პიროვნების თავისუფლება, მონტესკიეს აზრით, ის განძია, რომელიც დიდი გაფრთხილებისა და მფარველობის ღირსია ყოველ სახელმწიფოში.

უზრუნველყოფილად ეს თავისუფლება მხოლოდ ინგლისში მიაჩნია მონტესკიეს, სადაც მთავრობას ავტორიტეტი და მნიშვნელობა არ დაუკარგავს, მაგრამ პიროვნების თავისუფლებაც კი მაინც შეუბღალავად შეურჩენია. რის მადლიერი უნდა იყვეს ინგლისელი, რომ სახელმწიფოს მშვიდრო წესწყობილებასთან ერთად პიროვნებ

რად არიან ასე ამხედრებული ეგრედ წოდებული დასელები საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ? ჩვენის ფიქრით, მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანი საერთოდ კონსერვატიულის ბუნებისაა, დღემდე დასელებს ავტონომიის შესახებ არაფერი არ გაუგონიათ და არ შეუძლიანთ უეცრივ შეიგუონ ეს აზრი. „შეჩვეული ჭირი შეუჩვეველს ლხინს სჯობიაო", ამბობს ერთი ანდაზა. რატომ? ჭირი ლხინს როგორ ემჯობინება? დიაღ, ვერ დაემჯობინება, მაგრამ ყოველივე ახალი მოვლენა პირველს ხანებში შიშსა და უნდობლობას იწვევს კაცის გულში. გ. რ.

ახალი ამბავი

◆ **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი** მეუღლითურთ რუსეთიდან ტფილისში ჩამოვა 5 მაისს.

◆ 21 აპრილს ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით მოხდა კერძო კრება ტფილისის საბჭოს ხმოსნებისა. კრებას **პეტერბურგში გაგზავნილმა დეპუტაციამ** წარუდგინა ანგარიში. თავ. ვ. მიქელაძემ და თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკიმ დაწვრილებით აღნიშნეს, როგორ მიიღო ისინი შინაგან საქმეთა მინისტრმა. კმაყოფილნი არიან დეპუტატები კავკასიის ნამესტნიკისა, რომელსაც დაწვრილებით გამოუკითხავს კავკასიის მცხოვრებთა მდგომარეობის შესახებ. როდესაც გრაფი შეკითხებია—რა საშუალებაა საჭირო კავკასიის მცხოვრებთა წარმატებისათვისო, დეპუტატებს უთქვამთ, საჭიროა ადგილობრივ მცხოვრებთ მიეცეთ უფლება დიდი მონაწილეობა მიიღონ კავკასიის მართვა-გამგეობის საქმეში, შემოღებულ იქნას 1864 წლის დებულების ერობათა დაწესებულებანი, მოწესრიგდეს საგრარო საკითხი და გლეხობას მიეცეს საკმაოდ მიწები, შემოღებულ იქნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, შემოღებულ იქმნეს პირველ დაწყებით სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლება ყველა საგნებისა, მიეცეს ნება მცხოვრებთ იყოლიონ წარმომადგენელნი ბულიგინის კომისიაში და შემდეგ დამფუძნებელ კრებაში. დეპუტატებს უცნობებიათ აგრეთვე მიზეზი კავკასიის სასწავლებლებში მოსწავლეთა მოძრაობისა და დაწვრილებით აღუწუსხავთ ტფილისის მდგომარეობა. გრაფს უთქვამს დეპუტატებისათვის, რომ ჩამოსვლისთანავე მოვიწვევ წარმომადგენელთ ქალაქებისა, გლეხობისა და თავად-აზნაურობისას კავკასიის საჭიროებათა გამოსარკვევად და საჭირო ღონისძიებათა მისაღებადო.

◆ ხვალ, 24 აპრილს, ტფილისის საბჭოს კერძო კრებას ქალაქის მოურავი წარუდგენს თავის მიერ შემუშავებულ მოხსენებას **ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ**. ეს მოხსენება, მოწონების შემდეგ, წარედგინება განსახილველად კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭომ მოხსენების შედგენა იმის შესახებ, თუ **როგორი რეფორმებია საჭირო რუსეთში**, მიანდო ხმ. თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს.

◆ 20 აპრილს **ტრამვაის კონდუქტორებსა, ვაგონების დამტარებელთ** და სხვა მოსამსახურეებს კრება ჰქონდათ. კრებამ კიდევ გაიმეორა თავისი გადაწყვეტილება, არ განაგრძონ მუშაობა იმ დრომდე, ვიდრე საზოგადოება არ დააკმაყოფილებს მათს მოთხოვნილებას. ამასთან კრებამ მოითხოვა გადაყენებულ იქნას უსახელო საზოგადოების დირექტორი გრიმანისი და საზოგადოებამ თავისი მთავარი სამმართველო ბრიუსელიდან ტფილისში გადმოიტანოს, რომ მოსამსახურეთ პირდაპირ იმასთან დაიჭირონ ხოლმე საქმე და არა წარმომადგენლებთან. ბრიუსელიდან ჩამოსული ბ-ნი მუტრიე უკვე შეუდგა მოლაპარაკებას მოსამსახურეებთან.

◆ 21 აპრილს საბჭოს ხმოსნებმა სთხოვეს ქალაქის მოურავს აიძულოს უსახელო საზოგადოება, რომ **განაახლოს ელექტრონის ტრამვაის მოქმედება.** ზოგიერთებმა განაცხადეს, საზოგადოებამ უნდა დააკმაყოფილოს მოსამსახურენი და დაუყოვნებლივ განაახლოს ვაგონების მიმოსვლაო.

◆ დღეს, 23 აპრილისათვის, დანიშნულია კრება იმ საგნის განსახილველად, თუ როგორ უნდა მოეწყოს კავკასიაში არჩევნები **დამფუძნებელ კრებაში წარმომადგენელთა** გასაგზავნად. კრება საბჭოს დარბაზის ნაცვლად, როგორც განზრახული იყო, მოხდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 8 საათზე.

◆ ბ-ნმა პეტრე მირიანაშვილმა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ახალ **ქართულ გაზეთის** გამოცემის შესახებ. ამ გაზეთს სახელად ეთქმევა „ახალი დროება".

◆ ნუხის მცხოვრებმა აბდულ-მამედ-ჯალალ-ოღლი მუსტაფიევმა შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისში რუსულ და თათრულ (ადერბეიჯანულ) ენებზე **გაზეთის გამოცემის** შესახებ. გაზეთის სახელი იქნება „აღმოსავლეთი".

◆ **ტფილისის გუბერნატორად** დანიშნეს განჯის გუბერნატორი გრაფი ტიზენგაუზენი. როგორც „ტ. ლ."-ს გაუგია, გრ. ტიზენგაუზენს უარი განუცხადებია ტფილისის გუბერნატორობაზე.

◆ ქალაქებსა, დაბებსა და პოსადებში უძრავ მამულებზე **შემდეგი გადასახადებია გაწერილი:** ტფილისის გუბერნიაში—178,000 მ., ქუთაისისაში—24,000 მ., ზაქათალისაში—1000 მან.

◆ 23 აპრილისათვის რკინის გზის თეატრში **სახალხო წარმოდგენათა სექციის** მიერ დანიშნულია წარმოსადგენად შილერის ტრაგედია „ყაჩაღები". მეორე დღეს, 24 აპრილს, ამავე პიესას წარმოადგენენ სახალხო თეატრში ავჭალის ქუჩაზე.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეული კომისია შეუდგა იმის გამორკვევას, შეუძლიან თუ არა ქალაქს დააჯარიმოს უსახელო საზოგადოება ამ ათი დღის განმავლობაში ტრამვაის მიმოსვლის შეწყვეტისათვის.

მასწავლებელთა კრების გამო

დღეს ქუთაისში მთელის გუბერნიის მასწავლებელთა კრებაა, გენერალ-გუბერნატორის მიერ მოწვეული.

როგორც ვიცით, ეს ერთი ხანია ქუთაისის გუბერნიის ყველა სკოლები დაკეტილია, ზოგან მოსწავლეების მოთხოვნით, ზოგან—მოსწავლე-მასწავლებელთა თანხმობით.

რამ გამოიწვია ასეთი საყურადღებო მოვლენა, დღეს ყველამ იცის: ეხლანდელი სკოლა ყველაფერს ემსახურება გარდა ახალთაობის აღზრდა-სწავლისა. ეს სკოლა მთელ რუსეთში უვარგისია, ჩვენში კი რაღაც მახინჯი რამ მოვლენაა, ახალთაობის დამსახიჩრებელ-დამმახინჯებელი.

დღევანდელი რუსული სკოლა პირველად ყოვლისა არსებულ წესწყობილების გაღმერთებას ასწავლის, ასწავლის ბრმა მორჩილებას ძალმომრეობისას, გონებას უჩლუნგებს უაზრო საგნების სწავლებით... სკოლაში პოლიტიკაა გამეფებული, პოლიტიკა მონობისა, პოლიტიკა არა-რუსთა დევნისა. პედაგოგია, ნამდვილი აღზრდა და სწავლა სკოლიდან განდევნილია. ჩვენში სკოლის პირველი და მთავარი დანიშნულებაა რუსულის სწავლება; რუსულს ანდომებენ მასწავლებლები მთელ თავისს დროსა და ძალღონეს; რუსულის სწავლების სიმძიმის ქვეშ კვნესიან მასწავლებელნიცა და მოსწავლენიც. რადა? რისთვის? მხოლოდ გარუსებისათვის.

და ნუ თუ ასეთი უკუღმართი წესი, დამამხობელი სწავლა-აღზრდის საქმისა, მოსათმენი იყო?

რასაკვირველია, არა, მაგრამ დამეჩავებული საზოგადოება წრიპინს თუ ბედავდა აქამდე. მასწავლებლებიც სდუმდნენ.

შორე აღმოსავლეთის მინდვრები სისხლით მოირწყა, რუსის ჯარი სასტიკად დამარცხდა; გამოაშკარავდა არსებულ წესწყობილების სრული უძლურება სამხედრო საქმეებშია; უკმაყოფილო ელემენტებმა ხმა ამოიღეს; მძიმე ტვირთ ქვეშ მკვნესარი ხალხი აღელდა და ამოძრავდა, აღარ კმაყოფილდება თავისი მწარე მდგომარეობით და საკვირველის მხნეობით და სიმტკიცით ითხოვს ადამიანურ უფლებებს, უკეთესს ცხოვრებას. ამ ცხოვრებაში სკოლას დიდი ადგილი უკავია და შეუძლებელი იყო ეს მღელვარება და მოძრაობა სკოლასაც არ შეხებოდა. შეშინებული საზოგადოება და ენა ჩავარდნილი მასწავლებელნი გამხნევდნენ ხალხის მოძრაობით და ეხლა გაბედულად ლაპარაკობენ.

იმედია, რომ გურია-იმერეთის მასწავლებელნი სინდისიერად ილაპარაკებენ ქუთაისში გამართულ კრებაზე, აღნიშნავენ დღევანდელ სკოლის სრულ უკუღმართობას და თამამად, საჯაროდ მოითხოვენ ქართველებისათვის ქართულ სკოლას, თავისუფალ სკოლას, მოკლებულს ყოველ მზრუნველობას ადმინისტრაციისა და სამღვდელოების მხრივ, სკოლას, რომელიც დაქვემდებარებული იქნება საზოგადოებრივ კონტროლს.

კალატოზების კრება

კალატოზების კრება მოხდა გუშინ, 22 აპრილს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, კალატოზის მღრაძის თავმჯდომარეობით. კალატოზები შეიკრიბნენ თავიანთ მდგომარეობის გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესამუშავებლად. შეკრებილთ აღნიშნეს თავიანთი აუტანელი მდგომარეობა და სთქვეს, რომ ჩვენც უნდა შევეურთდეთ იმათ, ვინც თხოულობს ხალხის ცხოვრების შემფერხებელ-შემავიწროებელ პირობების შეცვლასა. კრებამ საჭიროდ სცნო მოწესრიგდეს სამუშაო დრო. დაადგინა დაწესდეს 8 საათის სამუშაო დრო. ზაფხულობით სამუშაოდ კალატოზები უნდა გამოვიდნენ დილის 7 საათზე და გაათავონ 5 საათზე, ზამთრობით 8—5 საათამდე. 8 საათზე მეტს დროს მოიხმარებენ სადილისა და საუზმისათვის. მოისპოს ნარდად და ნაჭრობით საქმის აღება ხელოსნებში. სახელმწიფო ხარჯით დაზღვეულ იქნას მშრომელი ხალხი რაიმე უბედურებისაგან უზრუნველ საყოფელად. ყოველი დამქირავებელი ვალდებული უნდა იყოს, კალატოზს ხელის აშენების დროს გაუსწორდეს და ქირა მიეცეთ მუშებს სამუშაო ადგილას და არა დუქანსა და სხვაგან სადმე. ხელოსანი არ უნდა მოსცდეს უმიზეზოდ; ყოველმა ხელოსანმა უნდა იკისროს იმდენი საქმე, რამდენის შესრულებაც შეუძლიან. სხვა ხელობის საქმის აღება აღკრძალულია. გაუქმდეს საიჯარო წესით მუშაობის აღება, რადგან იჯარით იღებს ფულიანი ხალხი და სხვებს ქირაობენ. თუ ვინიცობაა პატრონის მიზეზით დანიშნულ დღეს მუშაობა არ მოხდა, პატრონი ვალდებულია კალატოზს დღის ქირა მისცეს უკლებლივ. მოეთხოვოს ქალაქის თვით-მმართველობას, დანიშნოს განსაკუთრებული ადგილი, სადაც ხელოსნებს შეეძლოთ შეკრება დასაქირავებლად. კამათი გამოიწვია საკითხმა ამქრულ წეს-წყობილების გაუქმების შესახებ. ზოგიერთებმა აღნიშნეს, რომ უსტაბაშებს ზარალი არა მოაქვთ რაო. კრებამ საჭიროდ სცნო ამქრულ წყობილების გაუქმება. შემდეგ ერთმა კალატოზმა სთქვა: მარტო უსტაბაშის თანამდებობის გაუქმებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ამქრულ წეს-წყობილების სათავეში მდგომი სახელოსნო გამგეობა არ გავუქმეთ; აქ დღეს,—განაგრძო მოლაპარაკემ,—ბევრი მოხუცებული კალატოზია და აბა დაგვისახელოს ერთმა ვინმემ, თუ ამ ორმოცის წლის განმავლობაში რამე გაუკეთებია სახელოსნო გამგეობასაო. ხარჯი ბევრია, სიკეთე-კი არაფერი. კრებამ დაადგინა, მოითხოვოს გაუქმება სახელოსნო გამგეობისა და ხელოსანთა მოურავის თანამდებობისა, რომელსაც წელიწადში 1000 მან. ეძლევა და ათასი კაპეიკის სალირალს ხელოსნებისათვის არას აკეთებსო. დაადგინეს აგრეთვე დაარსონ ბიურო, რომელმაც უნდა იზრუნოს ხელოსანთა წარმატების საქმისათვის. ერთმა მოლაპარაკემ დაასურათა მდგომარეობა მშრომელ ხალხისა და განაცხადა, ყოველივე, რაც თქვენ აქ დაადგინეთ, არ შესრულდება, თუ ცხოვრების საზოგადო პირობები არ შეიცვალა; ჩვენ უნდა მოვითხოვოთ თავისუფლება გაფიცვისა, კრებობებისა, სიტყვისა და სხვა. კრებამ მიიღო ყველა ეს წინადადება. შემდეგ დაადგინეს აარჩიონ განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ანგარიში უნდა მოსთხოვოს უსტაბაშებსა და სახელოსნო გამგეობას, თუ რა გაუკეთებიათ, რას აკეთებენ და რაში იხარჯება ფული. მუშებს არსებულ ჯამაგირებზე მოემატოს 25%. განაცხადეს აგრეთვე, რომ ყოველივე გადასახადი ჩვენ, მშრომელ ხალხის, კისერზეა და მერე სად მიდის ეს ფული? ჩვენი შვილებისთვის დახშულია სასწავლებლების კარები. იქ სწავლობენ მდიდრები. უნდა მოვითხოვოთ მთავრობისაგან, შემოღებულ იქნეს საყოველთაო, სავალდებულო სწავლა განურჩევლად სქესისა 16 წლამდე. კრებამ ტაშის ცემით მიიღო ეს წინადადება. დასასრულ კრებამ კარგა ხანი მოანდომა შაგირდებისა და კალატოზებს შორის დამოკიდებულების მოწესრიგებას. კრებამ დაადგინა: თითო ხელოსანს ერთ შაგირდზე მეტი არა ჰყავდეს, ზრდილობიანად ექცეოდეს, მარტო ხელობას ასწავლიდეს, თუ ზამთარში შინ საქმეს გააკეთებინებს, აძლიოს ქირა და სხვა.

რუსეთის ქრონიკა

სარატოვის ხელზე მოსამსახურენი. სარატოველები დიდ გაჭირვებაში თურმე იმყოფებიან: გაიფიცნენ ყველა რესტორანებისა და ტრაქტირების მოსამსახურენი. მოსამსახურეთ თავიანთი მოთხოვნანი წარადგინეს, მაგრამ ამათ როდი დაკმაყოფილებულან: გადაუწყვეტიათ ხელზე მოსამსახურეთა ამხანაგობის დაარსება, რომ უფრო მეტის ძალით ებრძოლონ რესტორატორების მადაინობასა და თვითნებობას.

ამ ორის წლის წინად ამათ შეუმუშავებიათ წესდება საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებისა. ეს წესდება სამინისტროს უკვე დაუმტკიცებია და ახალი საზოგადოება მოქმედებას დაიწყებს. ეს საზოგადოება არტელისებური დაწესებულება იქნება; წევრებად მხოლოდ ხელზე მოსამსახურენი იქნებიან; ამ საზოგადოების რეკომენდაციით შოულობენ ადგილს წევრები და პასუხის გებასაც ეს საზოგადოება კისრულობს. ასეთი საზოგადოება უკვე არსებობს ოდესაში, მშვენივრად მიჰყავს საქმე და კარგი თანხაც აქვს თურმე.

რუსის ყაზახები ბელოსტოკშიაც ისევე იქცევიან თურმე, როგორც ჩვენში. ამ ქალაქის ხმოსნებს შემდეგი განცხადება შეუტანიათ საბჭოში: „ბელოსტოკში დაბანაკებული ყაზახები ძალმომრეობენ, სტანჯავენ უდანაშაულო მშვიდობიან ხალხს, უმიზეზოდ აბოროტებენ მცხოვრებთ და შურისძიების სურვილს იწვევენ. გაცხადებთ რა ამას, გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ და მოიწვიოთ საბჭოს საგანგებო სხდომა, რომ ვიშუამდგომლოთ გაგვანთავისუფლონ ყაზახ-რუსების ძალმომრეობისაგან". („ნოვ.").

შილერი და რუსის ადმინისტრაცია. ქ. არხანგელსკში გერმანელების კოლონიაა. კოლონიას გადაუწყვეტია შეძლების დაგვარად ედღესასწაულნა ამ შესანიშნავ მწერლის ასის წლის იუბილე. მაგრამ ეს გადაწყვეტილება

ბის თავისუფლებაც არ დაუკარგავს? ამ კითხვაზედ მონტესკიე თავის ნაწარმოებთა მეხუთმეტე წიგნის შესანიშნავ მეექვსე თავში გვაძლევს პასუხს, სადაც ინგლისის კონსტიტუციას აგვიწერს და მთავრობის ძალთა დაცალკევების თეორიას გვიხატავს.

ბევრი მეცადინეობა, სწავლა და გონება მახვილობა დასჭირდა სხვა და სხვა სახელმწიფოთა ნასწავლ ხალხს იმის დასამტკიცებლად, რომ მისი თეორია შეცდომაზე არის დამყარებული და ინგლისის პოლიტიკური წეს-წყობილება გარკვად და სავსებით ვერ არის აღწერილი.

მას შემდეგ ბევრი შესანიშნავი თხზულება დაიწერა ინგლისის შესახებ, სადაც უფრო სავსებით და ნიჭიერად არის აღწერილი ამ შესანიშნავ სახელმწიფოს პოლიტიკური წეს-წყობილება და სხვა და სხვა დაწესებულებათა ფუნქცია, მაგრამ მონტესკიეს თხზულების პაწაწა ნაწილმა კი უფრო დიდი სამსახური გაუწია ქვეყნიერებას ინგლისის კონსტიტუციის და დაწესებულებათა შინაგან აზრისა და სულის შესაგნებლათ, ვიდრე მის შემდეგ ყველა დაწერილ თხზულებათ ერთად. წიგნის ამ პაწაწინა ნაწილმა მთელ დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას ისეთი ელფერი დასდო და ინგლისის პოლიტიკური წეს-წყობილება იმ დედანად გახადა, რომელიც დღევანდლამდის მაგალითს და სიცოცხლეს აძლევს ყველა განათლებულ ქვეყანას.

მონტესკიეს დიდი მნიშვნელობა იმითი აიხსნება, რომ ევროპაში პირველად იმან მიუთითა ინგლისზე, როგორც თავისუფლების ქვეყანაზედ, და მისი პოლიტიკური წეს-წყობილების ზოგიერთი მხარეები საზოგადო პრინციპებად გამოაცხადა. ეს პრინციპები საფუძვლად, საძირკვლად დაედვნენ თანამედროვე სახელმწიფოთა განვითარებას და დღემდის სანატრელ საგნათ არიან ბევრი ქვეყნისთვის.

მონტესკიეს მოძღვრებას მხოლოდ თავის დროისთვის ჰქონდა მნიშვნელობა, დღეს კი, ვინც ინგლისის ცხოვრების გაცნობას მოისურვებს, რასაკვირველია, მონტესკიეს თხზულებას ვერ დასჯერდება.

შემდეგ წერილებში ვეცდებით ინგლისის პოლიტიკური ცხოვრება და სხვა და სხვა დაწესებულებათა ფუნქცია, რამდენათაც კი გაზეთის ფარგალი ნებას მოგვცემს, დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას.

ი. პ—ვი

წითელი სიცილი

ან. ჩეხოვის სახსოვრად

ნარკვევი ნაპოვნ ხელთნაწერიდან.

ნარკვევი მეთერთმეტე.*)

ტყვეები, გროვა მრთოლვარე და შეშინებული ხალხისა, როდესაც ისინი გადმოსხეს ვაგონებიდან. ბრბომ კაიწია, ვით უზარ-მაზარმა ქოფაკმა ძაღლმა, მიბმულმა მოკლე ჯაჭვზედ. ბრბო ერთბაშად გაჩუმდა და იწყო ღრმად ქშინვა—ისინი-კი მიდიოდნენ მჭიდროთ, ჯიბეში ხელებ ჩაწყობილები, იღიმებოდნენ გაფითრებულის ტუჩებით; ფეხებს ისე ადგამდნენ, თითქოს ეხლავე უკანიდან უნდა ჯოხი დაარტყანო. ერთი-კი განზედ მიდიოდა, მარტოკა, წყნარად, უღიმრათ და როდესაც ჩემი თვალები შეხვდნენ მის შავს თვალებს, მე ამოვიკითხე შიგ გულწრფელი ზიზღი. აშკარად დავინახე, რომ ვძულვარ და მოელის ჩემგან ყოველგვარ საქციელს: მე რომ ეხლა მივვარდე და დავუწყო კვლა უიარაღოს, იგი ხმას არ ამოიღებს, არ დაიცავს თავს, რადგან ჩემგან ყველაფერს მოელის.

გავყევ ბრბოს, რათა ერთი კიდევ შევხვედროდი იმის თვალებს, მე ეს მოვახერხე, როდესაც ისინი შედიოდნენ სახლში. იგი შევიდა უკანასკნელი, წინ უშვებდა თავის ამხანაგებს, და ერთი კიდევ შემომხედა. აქ დავინახე მის დიდრონ შავ უგუბო თვალებში ისეთი ტანჯვა, ისეთი უფსკრული უგუნურებისა და საშინელებისა, თითქოს მე ჩავიხედე ყველაზედ უბედურის კაცის გულის სიღრმეში, რომელიც-კი ქვეყანაზედ მოიპოვებოდა.

— ვინ არის, ეს?—ვკითხე მცველს.

— აფიცერია, გიჟია. ბევრნი არიან მაგისთანები.

— რა ჰქვიან?

— ხმას არ იღებს. არ ამხელს თავის სახელს. თავისიანებმაც არ იციან, ვინ არის ეგ. მიკვლდებულია ვიღაცა. ერთხელ გადაარჩინეს ეგ თოკის ყულფს, მაგრამ რა!—მცველმა ჩაიქნია ხელი და დაიმალა კარებში.

და ეხლა ამ საღამო ხანს ვფიქრობ იმაზედ. ის მარტოდ მარტოა მტრებს შორის, რომელთაგან მოელის ყოველგვარ საქციელს და თავისიანებმაც არ იციან, ვინ არის. გაჩუმებულია და მოთმინებით გამოელის იმ დროს, როდესაც შეიძლებს მოშორდეს მთლად ამ ქვეყნიერებას. არა მჯერა, თუ ის გიჟია და აგეთი უშიშარი: მას ერთად ერთს ეჭირა ღირსეულად თავი მთრთოლვარე, შეშინებულ ხალხის გროვაში, რომელიც, ალბად, მასაც არ მიაჩნდა თავისიანებად. რას ფიქრობს იგი? რა ღრმა სასოწარკვეთილებით უნდა იყოს აღსავსე გული ამ კაცისა, რომელსაც სიკვდილის დროსაც არ უნდა გაამჟღავნოს თავისი სახელი. რა საჭიროა სახელი? მას საქმე აღარა აქვს სიცოცხლესა და ხალხთან, მან შეიგნო მათი ნამდვილი ღირსება; იმის გარშემო აღარ სუფევენ მისთვის არც სხვები, არც თავისიანები, რა გინდ ხმა მაღლა არ იყვირონ და არ უქადდნენ მას. ვიკითხე მისი ვინაობა: იგი დატყვევებულია უკანასკნელს საშინელს ბრძოლაში, სადაც დაიღუპა რამდენიმე ათი ათასი კაცი, იგი არ უწევდა წინააღმდეგობას, როდესაც იჭერდნენ: რაღაც მიზეზით უიარაღო იყო და როდესაც სალდათმა ვერ შეამჩნია ეს, დაჰკრა მას ხმალი, მან არ ასწია ხელი და არ დაიძრა ადგილიდან თავის დასაცველად, იარა მისდა საუბედუროდ, მსუბუქი აღმოჩნდა.

იქნება მართლა გიჟია? მცველმა სთქვა, რომ მაგისთანები ბევრნი არიანო...

ნარკვევი მეთორმეტე.

იწყება. გუშინ საღამოთი რომ შევედი ძმის სამუშაო ოთახში, იგი იჯდა სავარძელში სტოლთან, რომელზედაც ეყარა წიგნები. ავანთე თუ არა სანთელი, მაშინვე გაქრა მოჩვენება, მაგრამ მე მაინც დიდხანს ვერა ვბედავდი დავმჯდარიყავი სავარძელზე, სადაც იგი იჯდა. ჯერ ძლიერ მეშინოდა: ეს ცარიელი ოთახები, სადაც მუდამ ისმის რაღაცა შრიალი, ხმაურობა, რისგანაც გივლის ჟრუანტელი მთელ სხეულში—მაგრამ მერე მესიამოვნა, კიდეც: ისევ ის მირჩევნია, ვიდრე სხვა ვინმე. მთელი საღამო არ ავმდგარვარ სავარძლიდან: მეგონა, ავდგები თუ არა მოჩვენება დაიჭერს თავის ადგილს. გამოვედი ოთახიდან აჩქარებით, ისე რომ უკან არ მამიხედნია. უნდა ყველა ოთახები გავანათო, მაგრამ ღირს იმათ? უფრო ცუდი იქნება სინათლეში რომ დავინახო რამე—ასე მაინც ცოტაოდენ კიდევ ვიჭვნეულობ.

დღეს შევედი იქ ანთებულის სანთლით, მაგრამ სავარძელში არავინ დამხვდა. დღეს კიდევ ვიყავ სადგურზედ, ეხლა მე ყოველ დილა დავდივარ იქ—ვნახე მთელი ვაგონი შეშლილებით სავსე. იგი არ გაალეს და გადიყვანეს მეორე ლიანდაგზედ, მაგრამ ფანჯარაში დავინახე რამდენიმე სახე. საშინლები არიან. მეტადრე ერთი. დაგძელებული, ჩაყვითლებული, ვით ლიმონი, დია, შავი პირით და გაშტერებულის, უმოძრაო თვალებით—ის იმდენად მიაგვანებოდა საშინელების მასკას, რომ მე ვერ მომეშორებინა თვალი მისთვის. ის კი მომჩერებოდა, მიყურებდა მიმავალ ვაგონიდან, და ისე უძრავად გასცურა, რომ თვალი არ დაუხამხამებია, წარბი არ შეუხრია. აი, ეხლა რომ მომჩვენებოდა ის, მე მგონია, რომ ვერ გავუძლებდი მის საშინლებას. ოცდა ორი კაცი მოიყვანეს. გადამდები სენი ვრცელდება. გაზეთები როგორღაც ჩაჩუმდნენ, მაგრამ ჩვენ ქალაქშიაც საქმე, მგონია, ვერ არის რიგზედ. ხშირ-ხშირად მხვდებიან შავი, კარებებ დახშული კარეტები. დღეს, მაგალითად, დავითვალე ექვსამდე ქალაქის სხვადასხვა კუთხეში. ერთ-ერთ იმათგანში, ალბად, გამამგზავრებენ მეც.

გაზეთები-კი ყოველ დღე ითხოვენ ახალ ახალ ჯარს და ახალს სისხლს. მე-კი სულ ნაკლებად მესმის, თუ რასა ნიშნავს ყველაფერი ეს. გუშინ წავიკითხე ერთი ძალიან საეჭვო სტატია, სადაც ამტკიცებდნენ, რომ ხალხში ბევრი ჯაშუშები, გამცემნი და მოღალატენი არიანო, რომ საჭიროა სიფრთხილე, ყურადღება და რომ რისხვა ხალხისა თვით აღმოაჩენს დამნაშავეთო. რის დამნაშავეთ, რაში? ვაგზლიდან რომ ვბრუნდებოდი, ტრამვაიში გავიგონე საუცხოვო ბაასი, ალბად, ამ საგნის შესახებ:

— ისინი უნდა გაუსაჯავად ჩამოახრჩონ!—სთქვა ერთმა და გამოცდის თვალით გადახედა ყველას და მათ შორის მეც.—მოღალატეები უნდა ჩამოახრჩონ, დიახ!

მე ჩამოვხტი ვაგონიდან. ხომ ყველანი სტირიან ომის გამო, ისინიც სტირიან, მაშ რაღასა ნიშნავს ეს? რაღაცა სისხლის ფერი ნისლი იცვამს მთელს დედამიწას, უხშობს სინათლეს და მე მგონია, ახლოვდება დრო ქვეყნიერების დაქცევისა. წითელი სიცილი, რომელსაც ხედავდა ძმა. უგუნურობა მოდის იქიდან, იმ გასისხლიანებულ, გაწითლებულ მინდვრებიდან და მე ვგრძნობ ჰაერში მის ცივ სუნთქვას. მე მაგარი და ღონიერი კაცი ვარ, არა ვარ ავად სხეულის დამშლელ ავადმყოფობით, რომლის შედეგიც არის ტვინის გახრწნა, მაგრამ ვხედავ, რომ ეს სენი მთლად მიპყრობს და თითქმის ნახევარი ჩემის აზრებისა სრულიად აღარ მეკუთვნის, ეს ჭირზედ უარესია. ჭირს გაექცევი სადმე, დაიფარავ როგორმე მისგან თავს, ან მიიღებ მისგან საშუალებას—აბა როგორ დაიფარავ თავს ყოვლად გამჭრიახე აზრისაგან, რომელსაც არა აქვს არავითარი საზღვარი.

დღისით, ცოტა არ იყოს, შემიძლიან ვიბრძოლო, მაგრამ ღამ-ღამობით-კი ვხდები ისეთივე მონა ჩემის სიზმრებისა, როგორც ყველანი. სიზმრები ჩემი საშინელი და უგუნურია..,

ი. ხირსელი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი" № 2801.

სისრულეში ვერ მოიყვანეს, რასაკვირველია, „დამოუკიდებელ“ მიზეზის გამო.

პოლიციამ სახალხო სკოლების დირექციაში გაგზავნა საქმის ინიციატორები—შილერი იმათ უწყებაში არისო, სახალხო სკოლების დირექტორმა კი ნება ვერ დართო—ვერ მოიგონა, არის თუ არა ამის შესაფერი ცირკულიარი; და რაკი ცირკულიარით ნება-დართული არ არის, მაშ აკრძალული ყოფილაო. („ბ. გ.“).

პუშკინის ხსოვნის პატივისცემა პეტერბურგში. „სინ ოტეჩესტვა“-ში ვკითხულობთ: ევროპაში ყველგან დიდის მოწიწებით და პატივისცემით ეპყრობიან ერის დიდებულ შვილების ხსოვნას: ვაიმარში, მაგალითად, შილერისა და გეტეს სახლები დღემდე ხელუხლებლად შეუნახავთ; არა თუ ვაიმარში, სხვა ქალაქებშიც, სადაც კი უცხოვრიათ და რამე დაუწერიათ ამ დიდებულ მწერლებს, დღესაც დაცული და შენახულია ის სახლი თუ ოთახი...

„პეტერბურგში-კი, მოიკაზე, დგას დიდი სახლი, სადაც სცხოვრობდა და მოკვდა პუშკინი. და ამ სახლში და სწორედ იმ ოთახებში, სადაც დასრულდა დიადი ტრაგედია რუსეთის მგოსნის ცხოვრებისა, ეხლა მოთავსებულია... საიდუმლო პოლიციის ბინა!!.

წერილები

ფოთი. როგორც მოსალოდნელი იყო, ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორმა, თანახმად გამგეობის თხოვნისა, ოფიციალურად ნება დართო, რომ ვაჭრებსა და ნოქრებს კრება მოეხდინათ ერთმანეთთან შესათანხმებლად. ამასთან ნება დართო ქალაქის მკვიდრთ, რომ თავისუფალი თათბირი გაემართათ სკოლების დახურვის შესახებ, სადაც ამ დროით ყველგან სწავლა შეწყვეტილია. ამ საქმეების განსახილველად აპრილის პირველ რიცხვებში მოურავის მოადგილის თავმჯდომარეობით მოხდა კრება, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. პირველად კრებამ განიხილა ნოქრებისა და ქარგლების მოთხოვნილებათა ის მუხლები, რომელიც მკითხველს უკვე გავაცანით. მართალია აღებმა კრებაზე შეერთებულ კომისიის არჩევა მოითხოვეს მათთან შესათანხმებლად, მაგრამ ნოქრები აღარ დასთანხმდნენ, რადგან ჩვენის კომისიის მიერ შემუშავებული მოთხოვნილებანი უკვე წარმოგიდგინეთო, რომლის განსახილველად და დასაკმაყოფილებლად შეგიძლიანთ აღებმა ცალკე კომისია აირჩიოთო. ხანგრძლივ თათბირის შემდეგ კრებამ დაადგინა: აღებმა აირჩიონ ცალკე კომისია, რომელმაც გამგეობასთან ერთად უნდა განიხილოს ნოქრებისა და ქარგლების მოთხოვნილებანი.

განხილულ იქმნა საკითხი სკოლების დახურვის შესახებ. ამისათვის კრებას ბევრი არ უკამათნია. ზოგიერთ ორატორებმა მოკლედ ის აზრი გამოსთქვეს, რომ ეხლანდელ პირობებში სწავლის განგრძობა მოუხერხებელიაო. ამის შესახებ თავმჯდომარემ წაუკითხა კრებას მშობლების შემდეგი რეზოლიუცია: „რადგან დღევანდელმა ცხოვრებამ ცხადად დაგვანახვა თანამედროვე სწავლა-განათლების გაკოტრებული სისტემა, ჩვენ ფოთის მცხოვრებნი, შეკრებილნი ქალაქის თვით-მმართველობის დარბაზში, ვადგენთ: ზიზღი გამოეცხადოს სწავლა-განათლების უკულმართად მმართველ ბიუროკრატიას და მოისპოს სწავლა ყველა ადგილობრივ სკოლებში იმ დრომდე, სანამ ძირითადად არ შეიცვლება ყოველივე ცხოვრების დარგი და არ მოჰყვება საფუძვლიანი რეფორმები სწავლა-განათლებისა. ამისათვის წინადადებას ვაძლევთ ქალაქის თვით-მმართველობას მოუსპოს ყოველივე სახსარი, რომელიც დღემდის ქალაქის კასიდან ეძლეოდა ადგილობრივ სკოლებს, რადგან იგი არ ექვემდებარება თვით-მმართველობის კონტროლს და ზარალის მეტი არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ხალხის გათვითცნობიერებისათვისო“. საზოგადოებამ მიიღო ასეთი რეზოლიუცია და დაადგინა: წარედგინოს იგი ვისაც ჯერ არს. ამასთანვე საზოგადოებამ ზიზღი გამოუცხადა და დაჰგმო იმ მშობლების საქციელი, რომლებიც ბავშვებს სკოლაში მათრახით ერეკებიან.

ბოლოს ჩამოვარდა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა იქმნას მიღებული, რომ ქალაქში ავ-კაცობა მოისპოს, რომელიც ყოველ დღე მრავლდება.

ი. იანეთელი.

სოფ. ყვარელი (გაღმა კახეთი). აქ რაკი ხალხი გაიფიცა 22 მარტს და პირობა დასდო „ძმობასა, ერთობასა და თავისუფლებაზე“ და აარჩია კეთილსაიმედო პირები ათის და ასის თავებად, მას შემდეგ მთელი ყვარელი თავის საქმეებს თვითონ განაგებს, თვითონ არჩევს. ამისთვის თორმეტი დეპუტატია. ამას წინად სოფელმა მოიწადინა თავის ადგილობრივ პოლიციისთვის ანგარიში გაეწია. სოფლის ასის თავებმა, სოფლის მინდობილებით, უანგარიშეს ჯერ მამასახლისს (წლევანდელი ამორჩეულია). ანგარიშის შემდეგ მამასახლისს დაედო ოფლისა 400 მანეთი. უანგარიშეს ხარჯის ამკრეფს, ამას დაედო სოფლის 180 მანეთი. უანგარიშეს ახლა სმეორე ხარჯის ამკრეფს (რომელიც წარსულ წელს იყო ამორჩეული). ამ უკანასკნელსაც ამდენივე დაედო. ყოველივე ეს მოანგარიშეთ წარუდგინეს სოფელს. სოფელი 12—13 აპრილს მიუვარდა მამასახლისს და მოსთხოვა ფული. მამასახლისმა, რომ ველარ შეიკავა, უთხრა აღელვებულ ხალხს, ნუკი დამაქცევთ და აი მარანში 7 საპალნე ღვინო მაქვს, დაბეჭდეთ, თქვენს ბეჭედს ქვეშ იქონიეთ, გაყიდეთ და გაინაღდეთ ოთხმოცი თუმანი ფულიო. ხალხი დასთანხმდა, შევიდა მარანში და დაბეჭდა შვიდი საპალნე ღვინო. ახლა მიუცვივდა ხალხი ახლად დაყენებულ ხარჯის ამკრებს. ხალხმა იქაც დაბეჭდა ღვინო. სოფლის მესამე მოკეთესაც ასევე უყვეს.

14 აპრილს აქ ბოროტ-გამზრახველმა შებინდებისას თოფით ეზოში მოჰკლა ამ სოფლის ერთი დეპუტატთაგანი. მეორე დღეს მთელი სოფელი ამ საქმეს გამოეკიდა, რათა ეპოვნა მკვლელი. სულ არ გავიდა ორი-სამი საათი, რომ ხალხმა მკვლელი აღმოაჩინა და დაატუსაღა:

კოტე ალაზნისპირელი.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო! „ცნობის ფურცლის“ № 2791-ში ზუგდიდან გამოგზავნილ კორესპონდენციის გამო ნება მიბოძეთ მოგახსენოთ შემდეგი: როცა თავად-აზნაურთა კრებაზე სჯა იყო, რა ზომები უნდა მიეღო კაცს, რომ ჩაექრო მათ კარ-მიდამოს მოდებული ცეცხლი, ერთმა პირველთაგანმა მე წარმოვსთქვი ის აზრი, რომ აგვერჩია კომისია. რომელსაც უნდა გამოეკვლია მიზეზები ჩვენში ამტყდარის გლეხთა მოძრაობისა და მოერიგებია გლეხი მებატონესთან. ჩვენში ის მოხდა, ბატონო, რაც არც გურიაში ყოფილა, არც ქართლ-კახეთში, ე. ი. საზოგადო შენობათა და თავად-აზნაურთა ქონების ცეცხლით განადგურება. მე იმ აზრისა ვიყავი და ახლაც იმ აზრზე ვდგევარ, რომ თუ გლეხთა მოძრაობას საზოგადოთ რამე კეთილის მოტანა შეუძლია ვისთვისმე, ამ მოძრაობის გამაშავებელნი და დამღუპველნი თითონ ის ცრუ მქადაგებელნი არიან, რომელნიც იწვევენ გლეხთა შორის თავად-აზნაურთადმი შურის ძიებას, მათ ქონების ცეცხლით განადგურებას და თვით სიკვდილს. გაჭირვება რას არ ათქმევინებს კაცს, მე ამას ისიც დავუმატე, რომ შეიძლება ჩვენმა კომისიამ თვით ის ფარული კომიტეტები ნახოს, რომლის სახელით ხდება დღევანდელი უმზგავსოება და სთხოვოს გონს მოიყვანოს მისი ვითომ აგენტები და ამის შემდეგ ვსთქვი: თუ ვერც კომიტეტმა და ვერც ჩვენ მიერ არჩეულმა კომისიამ გლეხ-კაცობა გონზედ ვერ მოიყვანა და მათ გადაწყვეტილი აქვთ თავად-აზნაურობის მოსპობა, როგორც ვითომდა მათის მტრის და ამბოხება არ დაწყნარდა და ჩვენი სახლ-კარი ცეცხლმა უფრო და უფრო იმსხვერპლა, მაშინ ძალას ძალა უნდა დავახვედროთ და უმიზნოთ ჩვენი განადგურება არ შევაწიოთ და საცა შევიძლებთ ერთის მაგიერ ათი მოვკლათ და ერთის დამწვარის მაგიერ, ასი დავწვათ მეთქი. *) თქვენს კორესპონდენტს ჩემი სიტყვიდან ის გამოუგდია, რითაც იხსნება ამგვარი ჩემი მიმართვა ძალისადმი და ამით ჩემი აზრი არა მოუფიქრებლად დაუმახინჯებია.

გთხოვთ მომცეთ შეძლება ეს ნაკლი გამასწორებინოთ ამ მცირე შენიშვნის დაბეჭდვით. რაც შეეხება იმ აზრს, ვითომ ჩემგან წარმოთქმულს, რომ გლეხის მდგომარეობა უკეთესი ყოფილიყოს მებატონის ხელში, ვიდრე ეხლა, ეს არამც თუ ცხადი სიცრუეა, არამედ დაბეზღებაც არის ჩემი იმათ წინაშე, რომელთა ხელთ არის დღეს ცეცხლი და მახვილი. რაც შეეხება თოფ-ზარბაზნის ჭექა-გრიალს, რომელსაც თქვენი კორრესპონდენტის სიტყვით, მე ვითომდა თანავუგრძნობდე, არის წმინდათა წმინდის შეხება, რადგან ამის მომხრე მე არასოდეს არც ვყოფილვარ და არც ვიქნები, არა თუ თოფ-ზარბაზნის ჭექა-გრიალის გაგონება, არამედ მისი წარმოდგენაც კი ჟრუანტელს იწვევს ყოველ ჩემ სხეულის ატომებში.

ვლადიმირ კონსტანტინეს ძე ალშიბაია.

II

„ცნობის ფურცლის“ 2799 №-ში ნაამბობია, ვითომ მე ჩემ მოსამსახურებისათვის გადამეხდევინებინოს დაკარგულ კატის ფასი. ვთხოვ ბ-ნ რედაქტორს, დამისახელოს ის პირი, ვინც ამისთანა ცილის წამებას კისრულობს. *) თუ ჩემი მოსამსახურეები დიდ ტანჯვა-წვალებაში არიან და არა აქვთ გამორჩენა ჩემს რესტორანში, მე, რადგან მათ პირობების მიღება შეუძლებელია, ვაძლევ მათ შემდეგ წინადადებას: შევადგინოთ მე და ჩემმა მოსამსახურეებმა ამხანაგობა და ერთად ვაწარმოოთ რესტორანი: რაც შემოსავალი იქნება, თანასწორად გავიყოთ. ამაზედ მეტი რაღა უნდათ? ჩემი აზრი რესტორანის მოსამსახურეების გაფიცვაზედ ესაა: 1) რესტორანებმა უნდა ივაჭრონ საღამოს 10 საათიდან ღამის 2 საათამდე როგორც უბრალო დღეს, ისე კვირა-უქმეობით; 2) დაარსდეს მოსამსახურეთა კანონიერი ამხანაგობა (артель), რომელმაც უნდა იკისროს მოსამსახურის ხელში დაკარგულ ნივთის ზღვევა; მაშინ გაუქმდება გირაოც და „კრუჟკა“-ც. დასასრულ ცხადია: თუ ჩემ მოსამსახურეებს არ უნდათ ჩემს რესტორანში სამსახური, ძალით მე მათ ვერ დავიჭერ და, გაგიტყდებით, არცა მაქვს მაგის წადილი.

გიორგი ნიკოლოზის ძე სხირტლაძე

---

*) როგორც აქედან სჩანს, ბ. ალშიბაია არ უარჰყოფს კორესპონდენტის მიერ აღნიშნულ ფაქტს, რომ ამ წერილის ავტორმა ბოლოს და ბოლოს მაინც ძალის ხმარება მოითხოვა. რედ.

*) რედაქტორი არც მოვალეა და ვერც დაასახელებს ამ პირს. ზემოხსენებული ამბავი თვით ლაქიებმა განაცხადეს იმ კრებაზე, რომელიც ამას წინად ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა ქალაქის მდივნის სტ. ჭრელაშვილის თავმჯდომარეობით.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

22 აპრილი

პარიზი. იაპონიის მისიამ განაცხადა, დელკასეს მხრივ ახალი განკარგულება არ გამოსულა ნეიტრალიტეტის შესახებ.

გონკონგი. გაიფინიდან მოსული დეპეშა ამოწმებს, ადმირალი დაილი შეუერთდა საფრანგეთის ესკადრას ადონის ბიუხტში. ადმირალი ჟონკიერი კრეისერ „გიშენი“-თ საიგონიდან გონკონხეს პუხტაში წავიდა.

ლონდონი. ლონდონიდან მოსულ დეპეშის თანახმად, ნებოგატოვის ესკადრის ორი ტრანსპორტი საბანგის პორტში იყვნენ, სუმარრის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ეს გემები „მარიენგამ“-ი და „ხერმინე“-ა. ეტყობა, მათ შეტაკება მოუვიდათ, რადგანაც წინა ნაწილები დაზიანებული აქვთ. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება, როჟესტვენსკის კრეისერები გონკონხოეს ბუხტაში არიაო.

ლონდონი. იაპონიის სორესპონდენტები კამათობენ ზღვაზე საქმეების მდგომარეობის შესახებ და ამბობენ, რომ ადმირალი ნებოგატოვი ერთი კვირეა მალაკის სრუტეში იმყოფებაო. ეტყობა, მესამე ესკადრას ნახშირი დაუდვია და გემები შეუსწორებია დიდის ხნის მოგზაურობის შემდეგ.

გონკონგი. რუსის ესკადრის მეტი ნაწილი ლეონგ-სოის ბუხტაში მოვიდა, ხაინანის სამხრეთით.

გუნჩულინი, 21 აპრილი. არმიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა, თუ არ ვილაპარაკებთ ოიამას მოხსენებებზე, საცა ის ძლიერ ხშირად შეთხზულ ზიანს გვიწერს ხოლმე. ჩვენს გაზეთებშიაც გვიხდება იმისთანა კორესპონდენციების კითხვა, რომელნიც ჭეშმარიტებასთან შორს არიან. აი მაგალითად: მუკდენში იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სანიტარულ მატარებლის მიტოვებ[illegible] 50 მილიონიან სურსათის დაწვა, მთავა[illegible]რდლის უფროსობა სიდ. სინტიაძის იერიშის დროს—ყველაფერი ეს გამოგონილია.

ბუენოს-აირესი. „დეილი-მეილ“-ის კორესპონდენტი ემუსაიფა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომელმაც დაამოწმა, რომ ტყუილია ის ცნობა, ვითომც რუსეთს არგენტინის სამხედრო გემები შეეძინოსო.

პარიზი. ოსმალეთმა გადასწყვიტა ასი ათასი ჯარის-კაცი გაგზავნოს იემენში აჯანყების ჩასაქრობლად.—მეფე ედუარდი ემუსაიფა გარეშე საქმეთა მინისტრს და სერიოზული ბჭობა იქონია რუსეთ-იაპონიის ომსა და მისს მაროკოს საქმეებზე გავლენის შესახებ. მივიდა თუ არა ლონდონში, მაშინათვე მოისურვა ბალფურის ნახვა.

ლონდონი. პლიმუტში მოვიდა რუსის იალქნიანი გემი „სტარს“-ი. მეზღვაურებმა, სთქვეს კაპიტანი და მისი უფროსი თანაშემწე დაიხრჩვნენ გვირას კუნძულ შეიდის ახლოო. კაპიტანის თანაშემწე მოიტაცა ტალღამ; კაპიტანი შეეცადა ამხანაგის გადარჩენას, მაგრამ ისიც მოიტაცა ტალღამ. გემი აბერდინშია.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

22 აპრილი

ლონდონი, 21 აპრილი (რეიტ.). კერძო ცნობებია, 25 მარტს საბანგში მივიდა ორი ტრანსპორტი, რომელნიც ნებოგატოვის ესკადრასთან ერთად გამოსულან ჯიბუტიდან და რომელთაც ბოლოები ჰქონდათ დაზიანებული. ის ცნობა, რომელიც „სტანდარტ“-მა გამოგზავნა ვაშინგტონიდან იმის შესახებ, ვითომც ინგლისს ნოტით მიემართნოს ჩინეთისთვის და მოეგონებინოს მისთვის მოვალეობანი, როგორც ნეიტრალურ სახელმწიფოსთვის, სისწორეს მოკლებულია.—რადგანაც ხმები გაავრცელეს, შანხაის მთავრობამ „ასკოლდ“-ს ნება დართო დაუდოს ნახშირი და გაიმართოს მანქანებიო, ინგლისმა უბრძანა ელჩს პეკინში, გამოძიება მოახდინეთ და, თუ საჭირო იქნება, გააფრთხილეთ ჩინეთი, რომ რუსის გემებს არ უნდა მიეცესთ წასვლის საშუალებაო. გამოძიებამ აღმოაჩინა იმ ხმების სიცრუე, ვითომც ჩინეთს არ შეესრულებინოს ვალდებულებანი და ამიტომ მისთვის აღარ ჩაუბარებიათ ნოტა.

ამოი, 21 აპრილი (რეიტ.) ჩინეთის სამხრეთ ნაპირებზე ტაიფუნი მძვინვარებს, რომელმაც, როგორც ხმებია, მოუსწრია როჟესტვენსკისთვის. როჟესტვენსკის მთავარ ძალებს ჩამოშორდა რამდენიმე პატარა გემი.

გუნჩულინი, 21 აპრილი. შეამჩნიეს, რომ ხუნხუზები და იაპონელ კავალერიის მცირედი რაზმები სამხრეთ-დასავლეთით მოქმედებენ. ჩვენის მარჯვენა ფრთიდან ჩინელებს ისევ ისე აძევებენ. მოვიდნენ უცხოელთ სამხედრო აგენტები ხარბინიდან მთავარ სადგომში და წარუდგნენ ლინევიჩს.

სინგაპური, 21 აპრილი (რეიტ). 22 აპრილს, დილის ექვსის ნახევარ საათზე, აქ ჩაიარა მესამე ესკადრამ, რომელსაც შეადგენდნენ ექვსი სამხედრო გემი და სამი მენახშირე. ამინდი ჯანღიანი იყო.

ტოკიო, 21 აპრილი („ტაიმს“-ი). აქაური გაზეთები როჟესტვენსკის წასვლას კამრანიდან ხუმრობად სთვლიან, რადგანაც ხანკოუში უფრო კარგად მოეწყო მისი საქმე.

ადესა, 21 აპრილი. წვრილმან პურის მცხობლებთან მომუშავენი გაიფიცნენ. გრადონაჩალნიკი იწვევს აღათა და მუშებს საქმის მოსაწესრიგებლად; მისივე ნებართვით იკრიბებიან ფოტოგრაფები და მათი მოსამსახურენი თავიანთ დამოკიდებულების გამოსარკვევათ.

კალიში, 21 აპრილი. ველიუნის მაზრის, სოფ. ძიერჟაკის, გლეხ-კაცობამ გაჩეხა სახელმწიფო ტყე. დარაჯებს წინააღმდეგობა გაუწიეს.

ბელოსტოკი, 21 აპრილი. 10 მუშა დაეცა თავს ანტონიუკსთან მეფაბრიკე იაკობის დასჭრეს.

სიმფეროპოლი, 21 აპრილი. არეულობა ჯარმა მოსპო.

ვენეცია, 21 აპრილი. გერმანიის იმპერატორი, იმპერატრიცა და პრინცები გადმოვიდნენ „ჰოჰენცოლერნი“-დან და წავიდნენ ვოკზალიდან. ხალხი აღტაცებით მიეგება. მათ

ჩიკაგო, 22 აპრილი (რეიტ.). რადგანაც ტრამვაის კუჩერები გაიფიცნენ, ამიტომ არეულობა ჯერ არ შეწყდა. დაჭრილია რამდენიმე კუჩერი და კერძო პირი.

პეტერბურგის ბირჟა 19 აპრილს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,35
ბერლინისაზე 100 მარკაში	--
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,50
ლონდონისაზე ჩეკები.	94,95
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,75
ბირჟის დისკონტი	5 1/2 6 3/4 %
4% სახელმწიფო რენტა	83 3/4
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—
4 1/2% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	--
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	381
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	294
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	270
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—
5 1/2% ობლ. იმავე საზოგად. . . .	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ. .	—
4 1/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა . .	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა .	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა . .	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია . .	—

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

სახალხო ბიბლიოთეკები

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“
ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლღას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში. უფასო ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, -სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, ახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ახალი წიგნები:

1) **ბრძოლა** ჩვენს პრესასა და საზოგადოებაში შეპარულ ნაკლულევანებებთან, 160 გვ. 35 კაპ.
2) **წერილი სოფლელ მუშას,** თხზ. ტ. ართმელაძისა 10 კაპ.
3) **საქართველოს სრული გეოგრაფია,** ვახუშტისა, 2 მან.
4) **საოჯახო, სამეურნეო და სამკურნალო ნარკვევი,** რამდენიმე ათასი უსაჭიროესი გამოსადეგი ცნობებით, 1 მან.
5) **ახალი მიმართულება სამკურნალო მეცნიერებაში,** 5 კაპ.
6) **სოკრატი და მისი ფილოსოფია ცხოვრებაზე** (მდაბიურად) 5 კაპ.
7) **ჩვენი მწერლობა და მწერლები,** დიზრაელისა, 5 კაპ.

წიგნაკი (კატალოგი) ყველა წიგნებისა მსურველს გაეგზავნება მუქთად. ვინც ქალაქ გარედან გაიწერს წიგნებს, გასაგზავნ ხარჯს ჩვენ ვკისრულობთ. წიგნებით მოვაჭრეებს დაეთმობა 40%.

ადრესი: Тифлисъ, Тумановскій переулокъ, 38, Ивану Павловичу Ростомашвили. (4—181—4)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—23)

ქ. ბათუმში
ბ. კილაძის და გ. თავართქილაძის საუკეთესოდ მოწყობილი
სტამბა
მარინსკი პროსპ. ტფილისის სავაჭრო ბანკის სახლში
წიგნის მაღაზია და საკანცელარიო ნივთების საწყობი
დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩ., იმავე ბანკის სახლში.

1. **სტამბა ღებულობს დასაბეჭდათ:** წიგნებს, ბლანკებს, აფიშებს, პრეის-კურანტებს, კონვერტებს, სადარბაზო ბარათებს და სხ. ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს: რუსულს, ქართულს, სომხურს და სხვ. ყველა ევროპიულ ენებზე.
2. **წიგნის და საკანცელარიო ნივთების საწყობში მოიპოვება:** ქართულ-რუსული წიგნები და კალენდრები, მრავალგვარი რვეულები, კანტორის წიგნები სხვა და სხვა ზომისა და ღირსების, წიგნის და ფოსტის ქაღალდები, როგორც რუსული, ისე საზღვარ-გარეთის; კონვერტები სავაჭრო და საკანცელარიო; ალბომები, ლენტები გარდაცვალებულთათვის; მხატვართათვის საჭირო იარაღები და სხვა ყოველგვარი სამწერლო და საკანცელარიო ნივთები და სხვ. (0—12)

პირველი საწყობი
შეშისა
პ. ი. კურცხალიასი
ანდრეევის ქუჩა, დამოვის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაყენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.
90—39)
გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინა გან, ნერვებისა, საქირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.



СѢДЕЛЬН
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—365—209)

Въ Уѣздномъ Городы Тифлисской Губерніи
АПТЕКА
ПРОДАЕТСЯ,
МОЖНО и ВЪ АРЕНДУ,
Адресъ: Тифлисъ, Аптекарю В. К. Прейсбергу. (3—2)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანაძე. . .	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი . .	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი . . .	—	70
იგივე II და III ტომი თითო . .	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად . . .	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა .	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო .	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—ბოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა .	—	55
სიბრძნე ბალავარისა	--	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა . .	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ევანგულოვისა	—	1

ტფილისსა და დილომს შუა სამგზავრო ეტლი მიმოდის ყოველ დღე
დილომიდან ვერაზე: დილის 7 საათზედ ნაშუადღევის 3 საათ.
ვერიდან დილომს: დილის 9 საათზედ საღამოს 5 საათზედ
25 კაპეიკი მგზავრზედ
პატარა მოსწავლეთათვის 15 კაპეიკი. (10—8)

Доз. цен. Тифлисъ, 22 Апрѣль 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.